გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 15
(11 472)

23 – 26 თებერვალი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლადისლავ ბოლონიმ შემადგენლობა დაასახელა და გვემუქრება...

3



## მთავარია, ფიფამ მოუხსნა ყადაღა „დინამოს"

3

## გუშინ, დღეს, ხვალ...

- **გუშინ** საბერძნეთში დაიწყო წყალხტომში მოზარდთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოდან ოთხი სპორტსმენი მონაწილეობს.
- **დღეს** ბათუმში დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში 1989-90 წლებში დაბადებულთათვის.
- **ხვალ** თბილისში გაიხსნება დედაქალაქის ღია ჩემპიონატი ტყვიის სროლაში.

## „ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ"

სპორტის დეპარტამენტის საბჭოს სხდომიდან გამოყოლილი ფიქრები

ისტორიისთვის მხოლოდ სპორტული მიღწევები როდია ანგარიშგასაწევი. მნიშვნელოვანია წინმსწრები მოვლენებიც, როცა ამ წარმატებებისთვის შესაფერისი ნიადაგი მზადდება.

2

## გია თორთლაძე თავის სამყაროში!



2

7

## ეფენბერგს „ბაიერნში" დარჩენას აღარ სთავაზობენ



ლაციო – რეალი



არსენალი – ლიონი

4

ჩემპიონთა ლიგა

მეორე ეტაპი



სპარტაკი – ბაიერნი

2,7

## კრივის თბილისელი სპეციალისტი გერმანიის შემდეგ ბულგარეთში მიიწვიეს

## „კიოლნთან" ამხანაგური მატჩისთვის ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

3

## მასპინძლებმა ქართველებს ორჯერ მოუგეს

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც საწვრთნელ შეკრებას გადიოდა გერმანიის ქალაქ აალენში, ორი მატჩი გამართა გერმანელ თანატოლებთან. სამწუხაროდ, ქართველი ჭაბუკები ორივე შეხვედრაში დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. 0-4 და 0-3.

## ვინ იქნება „დინამოს" მთავარი მწვრთნელი?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა გულშემატკივრებისადმი...

3



კრამნიკი



ანანდი

„მატადორები" იწყებენ, კრამნიკმა და ანანდმა კი კატეგორიული უარი განაცხადეს

8

## ქვანიას სასამართლომ განაჩენი გამოუტანა

**თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ განიხილა მიხეილ სურგულაძის სარჩელი ვაჟა ქვანიას მიმართ და გადაწყვიტა:**

სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. დაევალოს ვაჟა ქვანიას გამოაქვეყნოს გაზეთ „სპორტის სიახლენის" მორიგ ნომერში მის მიერ იმავე გაზეთის 2000 წლის 24-30 ივლისის №36 (243) ნომერში მიხეილ სურგულაძის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის უარმყოფელი ცნობა და გაზეთის ფურცლებზე საჯაროდ მოიხადოს ბოდიში.

დაეკისროს ვაჟა ქვანიას მიხეილ სურგულაძის სასარგებლოდ მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 100 000 (ასი ათასი) ლარის გადახდა.

ვაჟა ქვანიას გადახდეს სახელმწიფო ბაჟი 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ამავე სასამართლოში, გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**მუნდიალი-2002.** ***აზია. IV ჯგუფი:*** ყირგიზეთი — ბახრეინი 1-2, სინგაპური — კუვეიტი 0-1. კუვეიტი — 10 ქულა, ბახრეინი — 9, ყირგიზეთი — 3, სინგაპური — 1.

**ჩოგბურთი.** დუბაის საერთაშორისო ტურნირში გაირკვა ნახევარფინალური წყვილები. შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, რომელმაც სძლია ფრანგ სანდრინ ტესტიუს, შეხვდება ტაილანდელ თამარინ თანასუგარნს, ხოლო ფრანგი ნატალი ტოზია (მან მოუგო ტუნისელ სელიმა სფარს) — ავსტრალიელ რეჩელ მაკუილენს.

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

# „ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ"

*(პირველი გვერდიდან)*

დადგა ახალი საუკუნე. საქართველოში, ასე თუ ისე, წელგამართულმა და პირნათელმა თუ რომელიმე დარგმა შეაბიჯა ახალ ასწლეულში და, გნებავთ, ათასწლეულში, გასული საუკუნის ბოლო ათწელიწადში ჩვენი ტანჯული და ჯვარცმული ქართული სპორტია. მემატიანე, ცხადია, ამას სათანადოდ შეაფასებს და, შესაძლებელია, თავმოსაწონი განვლილი წლების გადასახედიდან, გარდა ქართული სპორტისა, საერთოდ, სულაც არაფერი დარჩეს.

ტრადიციებს თავისი ძალა აქვს, მით უფრო, თუ იგი ეროვნულ გენთან, ეროვნულ ენერგიასთანაა დაკავშირებული. ამ რწმენით ცოცხლობს და „ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობს" ქართული სპორტი. მოხდა ისე, რომ საუკუნის დადგომა და ქართული სპორტის ახალი ხელმძღვანელობის თანხვედრა დროში, ახალი იმედების ეპოქალურ საწყისად იქცა. ამ პრიზმაში უთუოდ საგულისხმოა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს პირველი სხდომა, როგორც ახალი მიჯნის ათვლის სამანი.

ყველა სერიოზულ საქმეში სტრატეგიას გადამწყვეტი როლი ეკისრება, თუმცა არც თვითმიზანი უნდა იყოს. მხოლოდ ღრმა პროფესიონალიზმს ძალუძს სწორი კურსის შემუშავება, რასაც ადამიანები შემდეგ რწმენით მიჰყვებიან. სპორტის სტრატეგია ყოველთვის იყო დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან და დღესაც, ეს ვექტორი, უცვლელი რჩება, თანაც, ძალიან მძიმე ვითარებაში. დეპარტამენტის საბჭოს ზემოხსენებული სხდომა მხოლოდ იმით როდი შემორჩება ქართული სპორტის ისტორიას, რომ საუკუნის პირველი სხდომა იყო, რომელიც ქართული სპორტის ახალი თაოსნობის ხელმძღვანელობით ჩატარდა, არამედ იმითაც, რომ სწორედ ამ დღეს გამოიკვეთა ქართული სპორტის ახალი სტრატეგიული კურსი. მთავარი, რაღა თქმა უნდა, 2004 წლის ოლიმპიური თამაშებია ათენში. დეპარტამენტში უკვე შეიქმნა მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მოთხოვნით ფედერაციებმა, მართალია, ჯერჯერობით ნაწილმა, უკვე წარადგინეს იმ სპორტსმენთა სიები, რომლებიც ათენისთვის მოემზადებიან. არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ სიების გადათვალიერებას სულაც არ გამოუწვევია აღტაცება, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ.

იმ მიდგომით, ზოგიერთმა ფედერაციამ რომ გამოიჩინა სიების შედგენისას, უბრალო გათვლით, ათენისთვის, სიდნეისთან შედარებით, ორჯერ მეტი ანუ 60-70 ლიცენზია უნდა მოვიპოვოთ. რაღა თქმა უნდა, ეს ფანტასტიკაა. ეტყობა, ზომიერება ძნელი დასაცავია კრიტიკულ მომენტში. თუმცა, პოზიცია გასაგებია, დალხინებული ცხოვრება რომ გვქონდეს, შერჩევა უფრო მკაცრი იქნებოდა.

პარალელურად დაამტკიცეს სპორტის იმ სახეობათა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები, რომლებმაც სიები წარადგინეს.

საბჭოს ეს სხდომა ღირსსახსოვარი გახდება კიდევ ერთი გარემოების გამო – საქართველოში სპორტის უმაღლეს სახელმწიფო ხელმძღვანელ ორგანოსთან პირველად შეიქმნა ქვეყანაში სპორტის განვითარების მზრუნველთა საბჭო. სწორედ ამ სხდომიდან დაედო საფუძველი ჩვენში მოსწავლეთა სპარტაკიადისა და უნივერსიადების ჩატარების აღორძინებას. კვლავ გაჩნდა დღის წესრიგში დეპარტამენტის სამუშაო გეგმის დამტკიცების საკითხი. საგულისხმოა, რომ ყველა საკითხი განიხილეს გასული წლის შედეგების ფონზე, შარშანდელი წელიწადი კი, მოგეხსენებათ, ოლიმპიური თამაშების წელიწადი იყო.

საბჭოს სხდომას, ასევე პირველად, უძღვებოდა დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.

### დებიუტანტი

**დავით მილეაშვილი**
(მძლეოსნობა)



***დაიბადა*** 1986 წელს ქ. საგარეჯოში.
***სიმაღლე*** 185 სმ
***წონა*** 65 კგ
***მძლეოსნობაში*** ვარჯიში დაიწყო 1997 წელს.
***მწვრთნელი*** რუსუდან ჰინჭარაული.
***საქართველოს*** ჩემპიონი 800 და 1500 მ-ზე რბენაში მოსწავლეთა შორის.
***საერთაშორისო*** კროსში „ბორჯომი-2000"-ის გამარჯვებული.

## ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს წელიწადი გვაშორებს

# გოგი თოფაძე – ოცეულში!



საქართველოს პარლამენტის წევრი, ცნობილი მეწარმე, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე დსთ-ს ქვეყნების ყველაზე გავლენიან ბიზნესმენთა ოცეულშია შეყვანილი. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ თანამეგობრობის 12 ქვეყნის ექსპერტები. რეფერენდუმი ჩაატარა მოსკოვის საინფორმაციო-ანალიტიკურმა პორტალმა „Gareta SNG.RU" და ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ფონდმა NISA Conculting.

აღსანიშნავია, რომ გოგი თოფაძემ მხოლოდ სულ უმნიშვნელო სხვაობით დაუთმო მე-15 ადგილი რუსეთის ოლიგარქს ბორის ბერეზოვსკის.

# ცისფერი მთები – გია თორთლაძის სამყარო!

**ახალი ათასწლეული ქართული ალპინიზმისათვის საკმაოდ ნაყოფიერად დაიწყო. თბილისში დაბრუნებული მთამსვლელები ნათესავების მონახულებასაც კი ვერ ასწრებენ და ისევ მთების ძახილს მიჰყვებიან. გია თორთლაძე ჰიმალაიდან საქართველოში 22 იანვარს დაბრუნდა, 9 თებერვალს კი ტიან-შანისაკენ გაემგზავრა. რა მარშრუტებით გაივლის ცისფერ მთებს გია თორთლაძე, ალბათ, თებერვლის ბოლოსათვის გახდება ცნობილი. ჯერჯერობით კი ერთი ცხადია, ტიან-შანის და ცისფერი მთების ასოცირება ციფრ ორთან არ დაირღვევა – გია თორთლაძე მწვერვალზე რუს საშა (ალექსანდრე) რუჩკინთან წყვილში აპირებს ასვლას.**



გია თორთლაძე

– ტაშკენტი – ბიშკეკი, შემდეგ ალა-არჩას ხეობაში ათდღიანი შეკრება, სადაც ტიან-შანის, ერთ-ერთ მწვერვალზე „სვობოდნაია კორეას" ორი სირთულის მარშრუტის გავლას ვაპირებ საშა რუჩკინთან ერთად. სავარაუდოდ ეს იქნება ხუთიანი და ექვსიანი სიძნელის კატეგორიის მარშრუტები. „სვობოდნაია კორეა" თითქმის ჩვენი უშბის სიმაღლეა. იგი ზღვის დონიდან 4740 მეტრზე მდებარეობს...

● ***მაგრამ თუ არ ვცდები უკვე აპრილში ჰიმალაიში აპირებთ კვლავ წასვლას.***

– ჰო, მართალია, ევერესტზე მივდივარ – მხოლოდ არ გეტყვი რომელ ექსპედიციასთან ერთად. მარტო იმას გეტყვი, რომ ჰიმალაიში წასასვლელად არანაირ თანხას არ ვიხდი. თუ ბედმა გამიღიმა და ამინდმაც შემიწყო ხელი, ამავე სეზონში ლოცზე ვაპირებ წასვლას...

● ***ლოცზე, ანუ ლხოცზე, თუ არ ვცდები?***

– დიახ; როგორ გამოითქმის, რა მნიშვნელობა აქვს. ინგლისურ ენაზე ასე იწერება – „Lhotse", ინგლისურ ტრანსკრიფციაში „h" იკარგება. რატომღაც ადრე რუსებმა „Lhotse" – „Лхотсе"-დ თარგმნეს და ქართულშიც ასე დამკვიდრდა. ეს ისე, პატარა ისტორიულ-გრამატიკული ექსკურსი. რაც შეეხება „ლოცზთან" დაკავშირებულ ჩემს გეგმებს, მწვერვალის დალაშქვრას ალპური სტილით ვაპირებ, უჟანგბადოდ და უშერპოდ. მოკლედ, ვეცდები ორი რვაათასიანი მწვერვალი დავძლიო.

● ***თუ არ ვცდები 2000 წელს, რუსები ორი მხრიდან „ლოცზე-Шар"-იდან და „მთავარი – ლოციდან" ცდილობდნენ ლოცზის ტრავერსით გავლას.***

– კი, მაგრამ, ვერც ერთმა ექსპედიციამ ეს ვერ მოახერხა. და დღემდე ეჭვი ეპარებათ, რომ ეს საერთოდ, შესაძლებელია. ახლა რუსები განახლებული (გაახალგაზრდავებული) გუნდით კვლავ შეეცდებიან მიზნის მიღწევას. სხვათა შორის, „შუა-ლოცზე" ასასვლელად (ტრავერსი მაქვს მხედველობაში) ცალკე ნებართვის აღებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ან 10 ათას დოლარ ჯარიმას გადაიხდი, ან 5 წელი ნეპალში არავინ ჩაგიშვებს...

● ***მახსოვს, ერთ დროს ფიქრობდი, სეზონში ხუთი რვაათასიანის დალაშქვრას და, თავისთავად, რეკორდის დამყარებასაც.***

– იყო ასეთი გეგმა და ახლაც არის. აი, სხვა საკითხია როგორ მოვახერხებ. ჰიმალაის შემდეგ, ვფიქრობ, ყარა-ყუმის „რვიანებს" შევუტიო. შემოდგომაზე კი, ჩემი ყველაზე დიდი ნატვრის ახდენის შანსიც მეძლევა – „K-2"-ზე ვფიქრობ ასვლას.

● ***ისე, გია, ამბობენ, რომ თქვენ ჰიმალაის „ექსპერტი" ხართ.?***

– ვინ რას ამბობს, არ ვიცი. ვთვლი, რომ ასეთი შეფასება გადამეტებულია, მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე 14-ჯერ ვიყავი. მე ვარ, უბრალოდ, გია თორთლაძე, მთამსვლელი, რომელმაც რაღაც-რაღაცები ვიცი... თუმცა ჰიმალაიში, უცხოელის კვალობაზე, არც სტუმრად ვითვლები.

● ***იანვრის ბოლოს „მაკალუდან" დაბრუნდით, რა მოხდა, რატომ ვერ ახვედით?***

– ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „მაკალუზე" ზამთარში გვსურდა მწვერვალზე ასვლა. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. შეცდომა თავიდანვე დავუშვით, იმის მაგივრად, რომ წვერზე კლასიკური მარშრუტით ავსულიყავით, რატომღაც ჯერ ფრანგული მარშრუტით, შემდეგ დასავლეთი თხემით – იაპონელების გზით ვცადეთ მაკალუზე ასვლა. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ცდაზე არ გაგვიმართლა. ნელ-ნელა პრიმუსებმაც გვიმტყუნა და ხალხიც ავად გაგვიხდა. მესამე, გადამწყვეტი იერიში კი ABC-დან დავიწყეთ. ორი ბანაკიც გავაწყეთ და ბოლო შტურმს ალპური სტილით ვაპირებდით. მე და ლისევსკი საკმაოდ გავოცდით, როცა 6200 მეტრზე ბანაკი დახეული დაგვიხვდა, 7000-ზე კი კარვის ნასახიც აღარ იყო. მწვერვალისაკენ გზის გაგრძელება უაზრობა იქნებოდა. უკან დავბრუნდით. იგივე ველიცკის და ზალუსკისაც ვურჩიეთ. სხვათა შორის, კრისტოფერ ველიცკი იმ მთამსვლელთა რიცხვს ეკუთვნის, ვის სათვალავშიც ყველა „რვაათასიანია".

● ***ე.ი. „ზამთრის მაკალუთი" უკმაყოფილო ხართ?***

– სრულებითაც არა. მართალია, მწვერვალზე არ ავსულვარ, მაგრამ ექსპედიციით თუნდაც იმიტომ ვარ კმაყოფილი, რომ პირველი ქართველი ვარ, რომელიც ზამთრის პირობებში 7100 მეტრზე ვიყავი ასული, რაც შეეხება „ზამთრის მაკალუს", ჩვენ იქ აუცილებლად დავბრუნდებით.

● ***ალბათ, ისევ იმ შემადგენლობით, არა?***

– არა, ალბათ გუნდი შეიცვლება. სამომავლოდ არის ორასვლიანი „მაკალუ-ჩოგიუ", პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, ნოემბრიდან დაიწყება. ერთადერთი, რაც დღეისათვის ვიცი, ის არის, რომ ამ ექსპედიციაში ველიცკი და მე ნამდვილად ვართ. გუნდი, სავარაუდოდ, რუსი ალპინისტებით გაძლიერდება. არაა გამორიცხული, რომ რუსებს შორის ალექსანდრე ფოიგტი, „ლოცზე-2000"-ის მონაწილეც იყოს. და კიდევ, ვიცი ის, რომ არც ერთი ქართველი ამ ექსპედიციაში არ იქნება.

...ეს იყო და ეს. გია თორთლაძეს ალბათ, კიდევ ბევრი ჰქონდა მოსათხრობი, მაგრამ ამჯერად ამ დიალოგით შემოვიფარგლეთ. და კიდევ, შესაძლოა სწორედ ახლა, როცა „ლელო"-ს ეს ნომერი გამოვიდა, თორთლაძემ ტიან-შანის ერთი მწვერვალი უკვე დალაშქრა კიდეც.

**თამუნა ჯიშკარიანი**

# თბილისელი მწვრთნელი – გერმანიაში

საქართველო, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყოველთვის გამოირჩეოდა ინდივიდუალური ხელწერის, უმაღლესი რანგის უძლიერესი მოკრივეებით. საკავშირო ასპარეზზე პირველი წარმატებები მოიპოვეს და საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში მოკრივეთა შემდგომი თაობების წარმოჩენას საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა გიორგი ვართანოვმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა გაბრიელ ხანუკაშვილმა, შალვა გორგასლიძემ, ლევან ღუდუშაურმა, ანდრო ნავასარდოვმა და სხვებმა.

მათი და მომდევნო თაობების წარმატებები დიდადაა დაკავშირებული საქართველოში მოღვაწე მწვრთნელების ცოდნასა და გამოცდილებაზე, მათ პროფესიონალიზმზე. მადლიერების გრძნობით გვინდა გავიხსენოთ ა. გოლდშტეინი, ჰ. მარლანიძე, გ. გასპარიანი, ა. ბაქრაძე, გ. ჯანაშია, მ. ბერიევი, გ. ვართანოვი, ბ. კალაძე, ბ. მელაძე, ვ. მარქაროვი, ლ. თავაძე (ფოთში), ვ. რაზმაძე და სხვები.

სწორედ, მათ თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც სპორტსმენი და შემდგომ შესანიშნავი მწვრთნელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო უნივერსიადების ჩემპიონი (ორგზის), სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, სპორტის ოსტატი გიორგი (ჟორა) შახსუვარიანი. მან დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რის შემდეგ 25 წლის მანძილზე უამრავი, შესანიშნავი მოკრივეები აღზარდა. როგორც ნიჭიერ, მოაზროვნე მწვრთნელს მიენიჭა მწვრთნელის უმაღლესი კატეგორია. ამჟამად მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მოკრივეთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელად. სწორედ აქედან მიიწვია გერმანიაში, ქ. ჰამბურგის წმინდა გიორგის ორდენის რაინდთა საძმომ, პროფესიონალ მოკრივეთა მოსამზადებელ საწვრთნელ ცენტრ „უნივერსუმში" 2000 წლის 5 იანვრიდან 17 მარტამდე, სადაც პროფესიონალ მოკრივეთა მთავარი მწვრთ-



*მარცხნიდან: ვლადიმერ კლიჩკო, ტორსტენ შმიდტცი, ფიტც ზუდნეკი, გიორგი შახსუვარიანი, მიხაელ ტიმმი, ვიტალი კლიჩკო*

იხ. მე-7 გვ.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### წალენჯიხა

**ამას წინათ, წალენჯიხამ, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ საჭადრაკო ცენტრადაა ცნობილი, 16 წლამდე მოჭადრაკეთა ზონალურ პირველობას უმასპინძლა. ეს ასპარეზობა ადრინდელისაგან გამოირჩეოდა მაღალი ორგანიზებულობით, პრიზებით და ფასიანი საჩუქრების სიუხვით. ხალხური ტრადიციის შესაბამისად გამარჯვებულ და პრიზიორ ვაჟებს ხმლით ან ხანჯლით, გოგონებს კი ზარდახშით აჯილდოებდნენ. ცხადია, საჩუქრებს შორის ჭადრაკის კომპლექტებიც იყო. ტურნირის ასეთ შთამბეჭდავად ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივი საჭადრაკო კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ კაჭარავამ.**

**შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ ამ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა ივერ წურწუმიამ, მეორე იყო გიორგი აბსავა, მესამე – ანდრია ცანავა (სამივე – ზუგდიდი). გოგონები: 1. ეკა გოგოხია (წალენჯიხა), 2. მადონა ბოკუჩავა, 3. დარიკო ხარჩილავა (ორივე – ზუგდიდი).**

### ასპინძა

**1998 წელს ასპინძის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას დახურვა ემუქრებოდა. მაშინ „ლელომ" ატეხა განგაში და სკოლა გადარჩა, თუმცა სახეობები მაინც შეამცირეს – დარჩა ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობის (თავისუფალი და ბ/რომაული), კრივის ჯგუფები. სკოლას 28 წელიწადია სათავეში უდგას ლიზა შემაზაშვილი, რომლის ოცნებაა სკოლა ძველებურად სრული დატვირთვით ამუშავდეს. ამ ოცნების ასრულებაში და ასპინძის სპორტული ტრადიციების აღდგენაში მას რაიონის გამგებლის ლევან ხუციშვილის და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ცინაძის დახმარების დიდი იმედი აქვს.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

**ძვირფასო მეგობრებო!**
**ფეხბურთის გულშემატკივრებო!**

28 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.

თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას, რომლის წარმატებით ჩატარება საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საწინდარი გახდება შესარჩევ ციკლში. ამისთვის კი საჭიროა გუნდის სიძლიერესთან და ორგანიზაციასთან ერთად სტადიონზეც სრული წესრიგი სუფევდეს, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს...

მოგეხსენებათ, რუმინელებთან მატჩისთვის ფიფასა და უეფას კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, სფფ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ გასცეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური სკამებისთვის განკუთვნილი ოცი ათასი ბილეთი და აბონემენტი. ჩვენ გვესმის, რომ სტადიონზე მისვლის მსურველი გაცილებით მეტია, ამიტომაც გავიღეთ დამატებითი ხარჯები და საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, პირველ არხზე მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლირების უფლება გამოვისყიდეთ. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი ადგილია და თამაშზე უნდა მოვიდეს ის გულშემატკივარი, რომელსაც ბილეთი ან აბონემენტი ექნება.

წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება უკრაინის ნაკრებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი, როდესაც მხოლოდ ექვსი ათასი ბილეთი გაიყიდა და ტრიბუნაზე ხუთჯერ მეტი გულშემატკივარი მოთავსდა. ამის გამეორება დაუშვებელია, რადგან თუკი რუმინეთთან გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ დაემთხვა სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა რიცხვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი საჯარიმო და ფულადი სანქციები არ ასცდება. სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. საქართველო კი კარგა ხნით დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს...

სფფ-მ გადაწყვიტა ბილეთები და აბონემენტები გასაყიდად 10 მარტიდან გამოუშვას. თამაშის დღეს კი სტადიონზე ბილეთები არ გაიყიდება.

ძვირფასო გულშემატკივრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ, მხარში ამოუდგეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უბილეთოდ ნუ მოხვალთ სტადიონზე. ნუ შევქმნით ზედმეტ პრობლემებს და ნუ დავუკარგავთ საქართველოს ნაკრებს შესაძლებლობას შინ ჩაატაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი დარჩენილი სამასპინძლო მატჩები იტალიასთან, ლიტვასთან და უნგრეთთან...

თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!..

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ფაქსი ფიფადან

# თბილისის „დინამოს“ ყადაღა მოეხსნა

„დინამო“ ყოველგვარი ვალისაგან თავისუფალია. გუნდის ახალმა პატრონმა, ძალოვანმა უწყებამ „მრეტების“ ვალი დაფარა და ფიფას ჯარიმა გაისტუმრა, რითაც „დინამოს“ თითქმის შვიდთვიანი სატრანსფერო ყადაღა მოეხსნა. ვეტოს გაუქმების დასტურია ფიფადან ტრანსფერისა და ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტის თავმჯდომარის ჯან-პაოლო მონტენერის ხელმოწერილი ფაქსი.

## გერმანიაში ქართული ოცეული ჩავა

***მეკარეები*** — დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე; ***მცველები*** — ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, ზურაბ ხიზანიშვილი, რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე; ***ნახევარმცველები*** — ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი ნემსაძე, ლევან ცქიტიშვილი, თემურ ქეცბაია, ზურაბ მენთეშაშვილი, რატი ალექსიძე, მალხაზ ასათიანი; ***თავდამსხმელები*** — არჩილ და შოთა არველაძეები, ზაზა ჯანაშია, მიხეილ აშვეთია, ალექსანდრე იაშვილი.

ასეთია ძოძუაშვილისა და ყიფიანის არჩევანი გერმანულ „კიოლნთან“ ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩისათვის. ნაკრებში ორი დებიუტანტია აბრამიძე და ასათიანი. მწვრთნელებმა კვლავ მოუხმეს ზაზა ჯანაშიას და რატი ალექსიძეს. გუნდი კიოლნში 26 თებერვალს შეიკრიბება, 27-ში კი მატჩიც გაიმართება.

# ლადისლავ ბოლონი: ყველაფერი თბილისში გადაწყდება. იქ 15 ლეგიონერს ჩავიყვან და ვნახოთ, ვისი აჯობებს!

რუმინეთმა საქართველოს წინააღმდეგ რჩეული ლაშქარი შეჰყარა. გუშინ, ნაშუადღევს, დაკების შთამომავალთა მთავარმა მწვრთნელმა ლადისლავ ბოლონიმ პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც გამოაცხადა კვიპროსის ტურნირზე გასამგზავრებელი ნაკრების შემადგენლობა:

***მეკარეები:*** ბოგდან სტელია („სალამანკა“), ფლორიან პრუნია („დინამო“ ბუქარესტი“), იონუ ირიმია („პეტროლული“); ***მცველები:*** კოსმინ კონტრა („ალავესი“), ფლორენტინ დუმიტრუ, მირელ რადოი, დანიელ პროდანი (ყველანი — „სტიაუა“), იულიან ფილიპესკუ „ბეტისი“), ადრიან იენცი („რაპიდი“ ბუქარესტი), კრისტიან ჩივუ („აიაქსი“); ***ნახევარმცველები:*** ეუგენ ტრიკა („სტიაუა“), ტიბერიუ ჯიოანი, მარიუს მალდარაზანუ (ორივე — „რაპიდი“ ბუქარესტი), დენის სერბანი („ელჩე“), კოსტელ გალკა („ესპანიოლი“), მარიუს სავა, ბოგდან მარა (ორივე — „არჯესი“), იულიან ტეიმსი („დინამო“ ბუქარესტი), კატალინ მუნტეანუ („სალამანკა“); დანიელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი), ლაურენციუ როსუ (ნუმანსია); ***თავდამსხმელები:*** კოსმინ ბარკაუ („უნივერსიტატეა“), ადრიან მიხალსი, მარიუს ნიკულაე (ორივე — „დინამო“ ბუქარესტი), იონელ განეა („შტუტგარტი“), ვიორელ მოლდოვანი („ნანტი“), ადრიან მუტუ („ვერონა“), ადრიან ილიე („ვალენსია“).

რუმინელთა ნაკრების თავკაცმა თქვა: „მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის უახლოეს მატჩს 24 მარტს ვთამაშობთ, ჩვენთან იტალია ჩამოვა და ყველაფერს ვიღონებთ, რათა არ გავაწბილოთ რუმინელი გულშემატკივარი. და მაინც, ჩვენს ჯგუფში აპენინელებს პირველ ადგილს, ალბათ, ვერავინ შეეცილება. მეორე ადგილის ბედი 28 მარტს გადაწყდება თბილისში. იქ უძლიერესი შემადგენლობით გავემგზავრებით, 15 ლეგიონერს ჩავიყვან და ვნახოთ, ვისი აჯობებს!“

როგორც ხედავთ, რუმინელები საბრძოლველად არიან განწყობილები. ზემოთ დასახელებულ 13 ლეგიონერს, ისინი ორსაც დაუმატებენ და ისე ჩამოვლენ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ. მართლაც, ბოლონის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ვნახოთ, ვისი აჯობებს!

კვიპროსის ოთხი ნაკრების ტურნირი, რომლებსაც რუმინელები განიხილავენ როგორც გენერალურ რეპეტიციას მომავალი შესარჩევი მატჩების წინ, 26-28 თებერვალს გაიმართება. თავდაპირველად ერთმანეთს შეხვდებიან: რუმინეთი — უკრაინა, ლიტვა — კვიპროსი. ფინალს გამარჯვებულები ხოლო დამარცხებულები მესამე ადგილს გაითამაშებენ.

# შეიქმნა კომისია

ფეხბურთში საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის მომსახურე მსაჯ-ინსპექტორებისაგან (უმაღლესი და I ლიგა) ფეხბურთის წესების, ფიფა-უეფას მოთხოვნებისა და უკანასკნელი რეკომენდაციების მიხედვით შეიქმნა თეორიული გამოცდების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

***ა. მილჩენკო*** — კომისიის თავმჯდომარე, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე;

***გ. ფირცხალავა*** — კომისიის წევრი, ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრების კომიტეტის თავმჯდომარე;

***დ. პეტრიაშვილი*** — კომისიის წევრი, საერთაშორისო ურთიერთობათა, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის თავმჯდომარე;

***ო. გუნთაძე*** — კომისიის წევრი, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

***კ. ყრუაშვილი*** — კომისიის წევრი, ფიფას არბიტრი;

კომისია შედეგებს სფფ-ს ხელმძღვანელობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

# რუმინელთა დასახვედრად ყველა ემზადება

28 მარტს ქართველ და რუმინელ ფეხბურთელთა სანაკრებო შერკინებისთვის გამალებულ მზადებაში არიან სხვა უწყებებიც. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივრებს 50 ლარიან აბონემენტს შესთავაზებს. მისი მფლობელი ეროვნული გუნდის, წლეულს შინ გასამართ ყველა მატჩს უპრობლემოდ დაესწრება. (ოთხი შესარჩევი და ერთი ამხანაგური მატჩი ისრაელთან). ბილეთები დასავლეთის ტრიბუნაზე 10, აღმოსავლეთზე კი 7 ლარი ეღირება.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ბალკანელებთან წარმატების შემთხვევაში 300 000 ლარს მიიღებს. შეხვედრის დროც ცნობილია. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 20 საათზე დაიწყება. ერთი დღით ადრე, 27 თებერვალს, „შევარდენის“ სტადიონი ახალგაზრდულ ნაკრებებს 15 საათზე უმასპინძლებს.

სტადიონის განათების მოსაწესრიგებლად ემზადება თბილისის მერია. ეროვნულ სტადიონს ცნობილი გერმანული ფირმა „სიმენსი“ გაგვინათებს, საჭირო თანხას მერია გადაიხდის.

აღსანიშნავია, რომ მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაციის უფლება უკვე შეისყიდა რუმინეთის ტელეკომპანია TVR-მა. გარდა ამისა, თამაშს ევროსპორტი და ჰონკონგის ერთ-ერთი ტელეკომპანიაც გადასცემს.



# «დინამოს» ჩივაძეს ჩააბარებენ?

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ რეგისტრაცია დღეს-ხვალ დასრულდება. ამავე დროს მოხდება კლუბის პრეზიდენტის არჩევაც. ამ პოსტზე კანდიდატი ერთია — გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე. მაშ, ვინ დაიკავებს მის ადგილს?*

*სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ამ თანამდებობაზე განიხილება სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძის კანდიდატურა. დათანხმდება თუ არა იგი შეითავსოს ეს პოსტი, ამ დღეებში შევიტყობთ. ისე, თუ მართლაც ასე მოხდა, უთუოდ მისასალმებელი ამბავი იქნება, ვინაიდან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუშაობით ჩივაძემ დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს გაუძღვეს ნებისმიერი რანგის გუნდს.*

# კატეგორიების მინიჭება

სფფ-ს აღმასკომის დადგენილებით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩების მომსახურე მსაჯებს, რომლებმაც შეასრულეს დადგენილებით გათვალისწინებული ნორმატივები, მიენიჭათ შესაბამისი კატეგორიები.

**ეროვნული კატეგორიის არბიტრები: კახაბერ მესხი (ზუგდიდი), ალექსანდრე კრიჭაშვილი, მალხაზ მაისურაძე (ორივე — თბილისი), ლევან მიქელაძე (სამტრედია), ზურაბ ანიაშვილი (გორი).**

**ეროვნული კატეგორიის ასისტენტები: ლაშა სილაგავა (თბილისი), ბადრი ბრეგვაძე, ჯუმბერ ბუიშვილი (ორივე — ჭიათურა), მამუკა ურუშაძე, ოთარ ხეცაძე (ორივე — თბილისი), არსენ ნონიკაშვილი, ვასილ ელისაბედაშვილი (ორივე — თბილისი).**

## აზერბაიჯანელები თბილისში — 3 ნაკრებით

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების უკრაინელებთან ამხანაგური მატჩების შემდეგ თბილისს აზერბაიჯანის სამი ნაკრები ეწვევა. აზერბაიჯანელების ვიზიტი 14 მარტს დაიწყება. ამ დღეს მურთაზ ხურცილავას ახალგაზრდული გვარდია სტუმარ თანატოლებს შეეჯიბრება. მატჩი „შევარდენზე“ 13 საათზე დაიწყება. ორი თვის შემდეგ, 9 მაისს, ორი მატჩი გაიმართება. ეროვნული გუნდების მატჩი „ეროვნულზე“, სავარაუდოდ, 17 საათზე დაიწყება. 14 საათზე კი 19-წლამდელთა გუნდები „შევარდენის“ სტადიონზე შეხვდებიან ერთმანეთს.

## 17-წლამდელთა შესარჩევი მინიტურნირი საქართველოში გაიმართება

**გუშინ უეფას მენეჯერის ანდრეა კუკისგან სფფ-მ ფაქსი მიიღო, რომელიც იუწყება, რომ 2001/02 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური მინიტურნირი 17 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებებს შორის საქართველოში უნდა გაიმართოს. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდების მეტოქეები ბოსნია-ჰერცოგოვინისა და ისრაელელი თანატოლები არიან. ტურნირი, სავარაუდოდ, წლეულს ოქტომბრის მეორე ნახევარში ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ საქართველომ 1999 წლის ზაფხულში მოყვარულ ფეხბურთელთა უეფას რეგიონთა თასისა და შემოდგომაზე 16 წლამდე ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებს უმასპინძლა.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვანდერლეი ლუქშენბურგო „კორინთიანსს“ დაუბრუნდა

*ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ვანდერლეი ლუქშენბურგო კვლავ აქტიურ საქმიანობას დაუბრუნდა და სათავეში ჩაუდგა სან-პაულუს „კორინთიანსს“, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ, 1998 წელს ბრაზილიის ჩემპიონად გახადა. ისიც საინტერესოა, რომ როგორც კი დატოვა ლუქშენბურგომ ეს კლუბი და ნაკრებში გადავიდა, „კორინთიანსში“ საქმეები მთლიანად აირდაირია. შარშან 5 მწვრთნელი გამოიცვალა. მათგან უკანასკნელი იყო დარიო პერეირა, რომელმაც სულ ორ თვეს გასძლო და სან-პაულუს შტატის პირველობაზე სუსტი შედეგისათვის გაანთავისუფლეს.*


ვანდერლეი ლუქშენბურგო

## დააპატიმრეს ცსკას პრეზიდენტის ძმისწული

*მოსკოვის მილიციამ ქუჩაში დააპატიმრა საფეხბურთო კლუბ ცსკას პრეზიდენტ შახრუდი დადახანოვის ძმისწული ასლანბეკ დადახანოვი. მას ხელყუმბარა აღმოაჩნდა. როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, მის ბინაში კიდევ ერთი ხელყუმბარა აღმოჩნდა, 25,4 ათასი ყალბი ამერიკული დოლარი და ვიდეოკასეტები, სადაც ასახულია ჩეჩნების მიერ დატყვევებული რუსი ჯარისკაცების დახვრეტა.*

## „კოპა ამერიკის“ მე-40 გათამაშება




„კოპა ამერიკის“ გათამაშება 1916 წლიდან მიმდინარეობს და იგი დაარსებიდან დღემდე დიდ ინტერესს იწვევს.

დავიწყოთ გამარჯვებულთა სრული სიით: 1916 — ურუგვაი. 1917 — ურუგვაი. 1919 — ბრაზილია. 1920 — ურუგვაი. 1921 — არგენტინა. 1922 — ბრაზილია. 1923 — ურუგვაი. 1924 — ურუგვაი. 1925 — არგენტინა. 1926 — ურუგვაი. 1927 — ურუგვაი. 1929 — არგენტინა. 1935 — ურუგვაი. 1937 — არგენტინა. 1939 — პერუ. 1941 — არგენტინა. 1942 — ურუგვაი. 1945 — არგენტინა. 1946 — არგენტინა. 1947 — არგენტინა. 1949 — ბრაზილია. 1953 — პარაგვაი. 1955 — არგენტინა. 1956 — ურუგვაი. 1957 — არგენტინა. 1959 (აპრილი) — არგენტინა. 1959 (დეკემბერი) — ურუგვაი. 1963 — ბოლივია. 1967 — ურუგვაი. 1975 — პერუ. 1979 — პარაგვაი. 1983 — ურუგვაი. 1989 — ბრაზილია. 1991 — არგენტინა. 1993 — არგენტინა. 1995 — ურუგვაი. 1997 — ბრაზილია. 1999 — ბრაზილია.

1993 წლიდან მოყოლებული, შეჯიბრებაში 12 ნაკრები მონაწილეობს, აქედან ათი კონკებოლოს წევრია, დანარჩენი კი ამერიკის წარმომადგენელი. წლევანდელ გათამაშებაში ეს ორი ადგილი მიეკუთვნათ მექსიკელებს, რომლებიც ყველა ადრინდელ ტურნირშიც მონაწილეობდნენ, და კანადელებს.

მე-40 გათამაშება კოლუმბიაში ტარდება. წილისყრის შედეგად შეიქმნა სამი ჯგუფი: A — კოლუმბია, ჩილე, ეკვადორი, ვენესუელა. B — ბრაზილია, პარაგვაი, პერუ, მექსიკა. C — არგენტინა, ურუგვაი, ბოლივია, კანადა.

დებულების თანახმად, ორი უძლიერესი ნაკრები თითოეული ჯგუფიდან და ორი, მესამე ადგილზე გასული მეოთხედფინალში თამაშის უფლებას მიიღებს.

საინტერესოა, რომ ორგანიზატორებმა შეჯიბრება სამ სტადიად დაჰყვეს და თითოეულს სათანადოდ ადგილიც მიუჩინეს. ჯგუფური ტურნირები სამ მსხვილ ქალაქში: კალიში, მედელინსა და ბარანკილიაში გაიმართება. მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩები პატარა ქალაქებში: პერეირასა, მანისალესსა და არმენიაში ტარდება, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს ქვეყნის ცენტრში მდებარეობს, დედაქალაქ ბოგოტასთან ახლოს. თვით ბოგოტაში კი ორი დასკვნითი მატჩი მოეწყობა, რომლებიც პრიზიორებს გამოავლენს. ამით შემოკლდება ერთი ქალაქიდან გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების გადაადგილების მანძილი, შესაძლებელი გახდება მათი უკეთ დაცვა. საქმე ის არის, რომ კოლუმბიაში უკვე კარგა ხანია მეტად დაძაბული ვითარებაა და აქ სხვადასხვა დაჯგუფებების შეიარაღებული ბრძოლა მიმდინარეობს.

კოლუმბია კოკაინის ყველაზე დიდი მწარმოებელია, არსად მსოფლიოში არ იტაცებენ იმდენ ადამიანს, რამდენსაც ამ ქვეყანაში, ყოველდღიურად შეტაკებების შედეგად საშუალოდ 10 კაცი იღუპება, ორი მილიონი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იქცა. ყოველივე ამის მიუხედავად, ფეხბურთის სამხრეთამერიკულმა კონფედერაციამ კოლუმბიას „კოპა ამერიკის“ ჩატარების უფლება მისცა, ენდო ამ ქვეყნის ხელისუფლების განცხადებას, რომ წესრიგს სანიმუშოდ დაიცავენ. კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ანდრეს პასტრანას სიტყვით, „ჩვენ უკვე ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ ახალი საუკუნის ამერიკას პირველი თასის გათამაშება დაუვიწყარი მოვლენა გახდეს, ბედნიერებას, ძმობისა და ლამაზი ფეხბურთის განსახიერება“.

შეჯიბრება 11 ივლისს დაიწყება და 29 ივლისამდე გასტანს.



## გასაოცარია, სტოიჩკოვმა ახალი კონტრაქტი გააფორმა

ახლო წარსულში ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელმა ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელმაც თითქოს კარგა ხნის წინ დაასრულა კარიერა, ახლა გადაიფიქრა და მწვანე მინდორს დაუბრუნდა. მან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ამერიკულ კლუბ „მაიამი ფიუჯნთან“, რომელიც ქვეყნის პროფესიულ ლიგაში გამოდის.

# ჩემპიონთა ლიგა — მეორე ეტაპი

## A ჯგუფი

**მანჩესტერი (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი) 1-1**
1-0 კოული (12), 1-1 ბრაუნი (88, საჯ. კარში).

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — შტურმი (ავსტრია) 1-2**
0-1 შოპი (25), 0-2 ჰაასი (41), 1-2 გუმასი (73).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | **4** | **2** | **2** | **0** | **6-2** | **8** |
| **ვალენსია** | **4** | **1** | **3** | **0** | **3-1** | **6** |
| შტურმი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

07.03 შტურმი — ვალენსია
07.03 პანათინაიკოსი — მანჩესტერი
13.03 მანჩესტერი — შტურმი
13.03 ვალენსია — პანათინაიკოსი

## B ჯგუფი

**დეპორტივო (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 2-0**
ვიქტორი (40), ჯალმინია (73).

**პსჟ (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) 1-1**
1-0 რობერი (75), 1-1 ხოსე მარი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გალათასარი** | **4** | **2** | **1** | **1** | **4-4** | **7** |
| **დეპორტივო** | **4** | **2** | **0** | **2** | **5-3** | **6** |
| მილანი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| პსჟ | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |

07.03 გალათასარი — მილანი
07.03 დეპორტივო — პსჟ
13.03 პსჟ — გალათასარი
13.03 მილანი — დეპორტივო.

## C ჯგუფი

**სპარტაკი (რუსეთი) — ბაიერნი (გერმანია) 0-3**
შოლი (17, 75 პენ.), პაულუ სერჟიო (87).

**არსენალი (ინგლისი) — ლიონი (საფრანგეთი) 1-1**
1-0 ბერგკამპი (33), ედმილსონი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | **4** | **3** | **1** | **0** | **7-2** | **10** |
| **არსენალი** | **4** | **1** | **2** | **1** | **5-7** | **5** |
| ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-3 | 4 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |

06.03 ლიონი — ბაიერნი
06.03 არსენალი — სპარტაკი
14.03 ბაიერნი — არსენალი
14.03 სპარტაკი — ლიონი


ლაციო — რეალი


სპარტაკი — ბაიერნი

## D ჯგუფი

**ლაციო (იტალია) — რეალი (ესპანეთი) 2-2**
1-0 ნედვედი (4), 1-1 სოლარი (32), 2-1 კრესპო (53), 2-2 რაული (73).

**ანდერლეხტი (ბელგია) — ლიდსი (ინგლისი) 1-4**
0-1 სმიტი (12), 0-2 ვიდუკა (33), 0-3 სმიტი (37), 1-3 კოლერი (75), 1-4 ჰარტი (80, პენ.).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | **4** | **3** | **1** | **0** | **11-6** | **10** |
| **ლიდსი** | **4** | **3** | **0** | **1** | **7-4** | **9** |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| ლაციო | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |

06.03 რეალი — ლიდსი
06.03 ლაციო — ანდერლეხტი
14.03 ლიდსი — ლაციო
14.03 ანდერლეხტი — რეალი

## დინო ძოფი: დამნაშავე ერიქსონია

*„რეალის“ წინააღმდეგ რომში ფრედ 2-2 დასრულებული შეხვედრის შემდეგ „ლაციომ“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შესაძლებლობაც დაკარგა. იტალიური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა დინო ძოფმა, რომელიც დიდი ხანი არაა სათავეში უდგას გუნდს, ასე ახსნა ეს ამბავი: „ქულები ადრე უნდა აგვეღო, ერიქსონის დროს, „ანდერლეხტთან“ და „ლიდსთან“. ამასთან ძოფმა ისიც აღნიშნა, რომ სამეფო კლუბის წინააღმდეგ მატჩებში რომაელებს აშკარად არ სწყალობდათ ბედი, თანაც მსაჯებმა აშკარა შეცდომები დაუშვესო. ძოფს მხარი აუბა „ლაციოს“ ჩეხმა ლეგიონერმა პაველ ნედვედმა: „მწვრთნელ ერიქსონს სწორი სათამაშო ტაქტიკა რომ შეერჩია, ჩვენ „რეალთან“ შეხვედრამდე 6 ქულა გვექნებოდა და უთუოდ გავიდოდით შემდეგ ეტაპზე“.*


ანდერლეხტი — ლიდსი

ვიდუკა


არსენალი — ლიონი

## რინატ დასაევი: სკოლაა საჭირო

*ჟურნალისტებმა განთქმულ გოლკიპერ რინატ დასაევს ჰკითხეს, რას ფიქრობს იგი რუსეთის მეკარეების ახლანდელი თაობის შესახებ.*

*— სამწუხაროდ, ახლანდელ ჩვენს მეკარეებს მოსაწონი მაინცდამაინც არაფერი აქვთ. რატომ? იმიტომ, რომ ყველა მათგანს პრაქტიკულად სკოლა არ გაუვლია. დიახ, ჩვენი სკოლა, რითაც ასე განთქმული იყო საბჭოთა და რუსული ფეხბურთი. რა თქმა უნდა, გვყავს ისეთებიც, რომლებმაც თავიანთ ეზოებში ურიგოდ როდი ისწავლეს ბურთის დაჭერა, მაგრამ არსებითად თუ ვიმსჯელებთ, დავკარგეთ მეკარეთა ტრადიციები. დახეთ, სადამდე მივედით? უმაღლესი დივიზიონის ოსტატთა გუნდებშიც კი შემოიღეს ახალი თანამდებობა: მეკარეთა მწვრთნელი! ერთი სიტყვით, ასწავლიან პროფესიონალებს (!), როცა ეს გაცილებით ადრე უნდა გაეკეთებინათ. ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინათ სკოლებში, ინტერნატებში, სპეციალურ კლასებში, ეს ოსტატთა გუნდებისათვის შესაფერისი საქმე არ არის. ის კია, რომ ამაზე არავინ ფიქრობს.*

*— როგორ აფასებთ რუსეთის ნაკრების მეკარეების — ალექსანდრ ფილიმონოვისა და რუსლან ნიგმატულინის თამაშს. ნიგმატულინს ხომ მეორე „დასაევსაც“ უწოდებენ.*

*— დეე რუსლანი მეორე დასაევი კი არ იყოს, არამედ პირველი ნიგმატულინი. რუსეთის ნაკრების ორივე გოლკიპერი ნიჭიერია, მაგრამ ნაკლიც საკმაოდ აქვთ. ვიმეორებ: ეტყობათ, რომ მეკარეთა კარგი სკოლა არ გაუვლიათ. ახლა კი ამის სწავლა არ შეიძლება, ამას ყველაზე უკეთესი მწვრთნელიც კი ვერ გააკეთებს. რაღა დაგვრჩენია — ვუსურვოთ მათ ბევრი იმუშაონ თამაშის დასახვეწად.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## როგორი იქნება მომავლის ფეხბურთი?

***კლაუდიო რაინერი (ლონდონის „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი):*** თანამედროვე იტალიური ფეხბურთი ყოველგვარ მომხიბლავობას ჰკარგავს, ფეხბურთელები შემოქმედებით თამაშზე ნაკლებად ზრუნავენ. ეს სტადიონების დასწრებაზე სულაც არ მოქმედებს. ბოლო 6-7 სეზონის მანძილზე თითოეულ მატჩზე საშუალოდ 30 ათასი მაყურებელი მოდის.

***ფრანჩესკო გუიდოლინი („ბოლონიის“ მწვრთნელი):*** თუკი მომავალშიც არ შეიცვლება ახლანდელი კალენდარი, იქამდე მივალთ, რომ ნაკლები ყურადღება მიექცევა როგორც ტექნიკას, ისე თამაშის ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებას. საქმე ის არის, რომ ისინი, ვინც ამ უზარმაზარ სფეროს – ფეხბურთს წარმართავს, უფრო მეტად მისი ეკონომიკური სფეროთი არის დაინტერესებული, ვიდრე სხვა საკითხებით. შარშან (მაშინ გუიდოლინი „უდინეზეს“ ხელმძღვანელობდა) სამ ფრონტზე მომიხდა თამაში: ეროვნულ პირველობაზე, იტალიისა და უეფას თასებზე. კალენდარი იტალიის ტელევიზიის მოთხოვნებს შეუთანხმეს, ზამთრის პერიოდში ზოგი მატჩის გადატანაც აუცილებელი გახდა. როცა გუნდს ასეთი პრესი აწვება, იგი ვერც გაიზრდება და ვერც თავის საუკეთესო თამაშს უჩვენებს. მთლიანად მეთანხმება „მილანის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონიც. რომ ასეთ სიტუაციას შეეგუო, საჭიროა სათანადო მოთამაშეების მოყვანა, ორი შემადგენლობა უნდა გყავდეს, ეს კი ძნელია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სუპერკლუბი არა ხარ. ახლა ძალზე ძნელია ტაქტიკური თვალსაზრისით რაიმე ახალი გადაწყვეტილებების მიღება. შესაძლოა, მეტოქეს ასეთი მოულოდნელი რამ შესთავაზო. მატჩში მოთამაშეების განლაგება შეცვალო და ამით, მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზო. რაც შეეხება მწვრთნელებს, ისინი ახალ პირობებს უნდა შეეგუონ. კერძოდ, შეეძლოთ ისეთი კოლექტივის წაძღოლა, სადაც მოთამაშეთა რიცხვი განუხრელად გაიზრდება, ამასთან, გამოცდილი ფეხბურთელები მეტი იქნება. ეს პირველ რიგში სუპერკლუბებს შეეხება. აუცილებელი ხდება მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო ჯგუფზე დაყრდნობა, გუნდში ფიზიკური მომზადების გამოცდილი სპეციალისტებიც. საჭირო ხდება სპეციალური მუშაობა არა მარტო ცალკეულ ფეხბურთელებთან, არამედ მთლიანად კოლექტივთანაც.

## კორეა – იაპონია: პირველი კონფლიქტი

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კორეის მხრიდან ჩუნგ მონ ჯუნმა, რომელიც ახლა ფიფას ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიცაა, სერიოზული უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იაპონიამ თვითნებურად შეცვალა მსოფლიო თასის ოფიციალური სახელწოდება. მისი აზრით, იაპონელებმა ფინალური მატჩის ბილეთებზე შეგნებულად წააწერეს ჯერ თავიანთი ქვეყნის სახელი, შემდეგ კი კორეელებისა, თუმცა, ჯერ კიდევ 1996 წელს ამ შეჯიბრებას ოფიციალურად ეწოდა „2000 FIFA Woeld Cup Korea/Japan“.

როგორც ჩუნგ მონ ჯუნმა განაცხადა, ჩემპიონატის ოფიციალური სახელწოდების შეცვლა ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე მოხდა და ამიტომაც მან საჭიროდ ჩათვალა ფიფასთვის მიემართა.

## დებიუტანტ მწვრთნელს არ უმტყუნეს

შესანიშნავი ბელგიელი მეკარე მიშელ პრიუდომი 20 წელზე მეტხანს თამაშობდა მაღალი კლასის გუნდებში, უკანასკნელად კი ლისაბონის „ბენფიკაში“. 41 წლის პრიუდომმა დაამთავრა მოთამაშის კარიერა და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა ლიეჟის „სტანდარდში“. მოთამაშეებმა მას კარგი საჩუქარი მიუძღვნეს – პირველივე მატჩში გაიმარჯვეს ანგარიშით 4-0. მართალია, შემდეგი შეხვედრა „აალსტთან“ ფრედ – 1-1 ითამაშეს, მაგრამ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი შეინარჩუნეს.

## გადადგა სერხიო მარქარიანი

მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკულ შესარჩევ ჯგუფში 10 ნაკრები გამოდის. უკვე სტარტის შემდეგ შეირყა ზოგიერთი მთავარი მწვრთნელის პოზიცია. გაანთავისუფლეს ფრანსისკო მატურანა (პერუ), ომარ პასტორისა (ვენესუელა) და ვანდერლეი ლუქსემბურგო (ბრაზილია).

ამ დღეებში პარაგვაის ნაკრების მწვრთნელ სერხიო მარქარიანის ჯერი დადგა. მან ვერ გაუძლო პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეტენზიებს, რომელიც თავის პირობებს ახვევდა თავს და გაუთავებლად ერეოდა სამუშაო პროცესში.

საინტერესოა, რომ სერხიო მარქარიანს სასაყვედურო არაფერი აქვს. მისი ხელმძღვანელობით პარაგვაელებმა 9 შესარჩევი მატჩიდან მოიგეს ხუთი და ახლა სატურნირო ცხრილში ბრაზილიელებთან (რომლებმაც დამარცხება აგემეს) მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. ლიდერებს – არგენტინელებს ისინი ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

## რისთვის იტაცებდნენ ფეხბურთელებს?

**ბოროტმოქმედი შეეცადა „ბარსელონას“ ცნობილ ნახევარმცველ ივან დე ლა პენიას მოტაცებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.**

**დე ლა პენიამ პოლიციას აცნობა, რომ, როცა იგი ვარჯიშიდან ბრუნდებოდა, მას დაედევნა ავტომანქანა, სადაც ორი კაცი იჯდა. ფეხბურთელმა ძლივს დააღწია თავი მდევრებს. მაშინ ბოროტმოქმედები მისი სახლის სიახლოვეს გამოჩნდნენ. ამის შესახებ დე ლა პენიამ სწრაფად შეატყობინა პოლიციას და მანქანის ნომერიც კი აცნობა. გამოირკვა, რომ ეს იყო წინა კვირას გატაცებული მანქანა.**

**პოლიციამ სწრაფად დააპატიმრა ბანდიტები, რომელთა შორის ერთი ცნობილი დამნაშავე აღმოჩნდა, ბარსელონას ახლო საპატიმროდან გაქცეული. მან პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია და ესროლა კიდეც.**

**ამის შემდეგ ბარსელონაში დააპატიმრეს ბიზნესმენი, რომელმაც აღიარა, რომ აპირებდა ამ კლუბის ერთ-ერთი ცნობილი ფეხბურთელის მოტაცებას, რათა გამოსასყიდით გაესტუმრებინა დიდი ვალი, 1 მილიონ 100 ათასი დოლარი.**

**— ჩვენი კლუბი ფრთხილად უნდა იყოს, რადგან საფრთხე სრულიად რეალურია, — განაცხადა „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტმა ჟოან კასტელმა, — დამნაშავეთა ორგანიზებული სამყარო ჩვენს მიმართ ძალზე აგრესიულადაა განწყობილი.**

**ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ მოთამაშე მოიტაცეს ესპანეთში 1981 წელს. მაშინაც ეს იყო „ბარსელონას“ ცნობილი ფეხბურთელი ენრიკე კასტრო, მეტსახელად კინი. მაშინ საქმე გამოსასყიდამდე არ მისულა, პოლიციამ აღმოაჩინა ადგილი, სადაც კინს მალავდნენ და იგი გაათავისუფლა.**

## უეფა შეუთანხმდა ევროპულ ტელეკავშირს...

...ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალური ნაწილის ტელეტრანსლაციის შესახებ. ეს შეჯიბრება, როგორც ცნობილია, პორტუგალიაში ჩატარდება, გარიგება კი 800 მილიონი შვეიცარიული ფრანკი დაჯდა. რაც შეეხება თვით ამ ჩემპიონატის წილისყრას, იგი 2002 წლის იანვარში პორტუში ჩატარდება.

## კვირას: „დეპორტივო“ – „რეალი“!

### ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

იმის მიუხედავად, რომ მეორე წრე სულ ახლახან დაიწყო, მიმომხილველები ასახელებენ ჩემპიონობის ოთხ კანდიდატს და დასძენენ, რომ დანარჩენ კლუბებს ნაკლებ მნიშვნელოვანი ან სულაც ლოკალური ამოცანები აქვთ. პირველი ადგილისათვის კი XXIII ტურის შემდეგ იბრძვიან მადრიდის „რეალი“ (51 ქულა), ლა კორუნიას „დეპორტივო“ (47), „ვალენსია“ (42) და „ბარსელონა“ (40). მათი შესაძლებლობები, როგორც ვხედავთ, განსხვავებულია, მაგრამ წინ კიდევ 15 ტურია და, ცხადია, ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.



რივალდო

ამ ოთხი პრეტენდენტიდან მეტად არათანაბრად თამაშობს „ბარსელონა“. გადავხედოთ თუნდაც ბოლო სამ ტურს. XXI ტურში ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონი მასპინძლობდა ბილბაოს „ატლეტიკს“, რომელსაც სატურნირო ცხრილის შუაგულში ეკავა ადგილი. მატჩის შედეგი განსაცვიფრებელი იყო — 7-0. ასეთი ანგარიშით ბილბაოელებს ესპანეთის პირველობაზე არასოდეს წაუგიათ. სამი გოლი გაიტანა ლუის ენრიკემ, ორი — კოკუმ, თითო — აბელარდომ და ოვერმარსმა. და აი, გავიდა სულ რამდენიმე დღე, მესამე ადგილზე მყოფი „ბარსელონა“ ესტუმრა სანტანდერის „რასინგს“, ნათლად გამოკვეთილ აუტსაიდერს. აქამდე კატალონიელებმა დაუმარცხებლად განვლეს 18 ტური და, ეტყობა, იმაზე ფიქრობდნენ, როდის, რომელი მომენტისათვის მიეცემოდათ „რეალთან“ დაწევის შესაძლებლობა. დასაწყისში მართლაც ისე ჩანდა, რომ „რასინგი“ ისეთ ძლიერ მეტოქესთან, რომელსაც წინა ხაზზე ჰყავდა კლუივერტი და რივალდო, ვერაფერს გახდებოდა. ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა დაკარგა კლუივერტმა, ბრწყინვალედ ითამაშა „რასინგის“ მეკარე სებალიოსმა, მალე კი თვით მასპინძლები გადავიდნენ შეტევაზე და გამოირკვა, რომ „ბარსელონას“ გოლკიპერი რეინა ძალზე არასაიმედოა. „რასინგმა“ ზედიზედ 4 გოლი გაიტანა. ასეთი სამარცხვინო ანგარიშით „ბარსელონამ“ უკანასკნელად 1997 წელს წააგო „ტენერიფესთან“. XXIII ტურში კატალონიელებმა საკუთარ მინდორზე უკვე მეტად პრინციპული მატჩი დათმეს „დეპორტივოსთან“ — 2-3. კლუბის დირექტორატი კარგა ხანია ცდილობს მწვრთნელ ლორენსო სერა ფერერის შემცვლელის მონახვას. ისე კი, ძნელი სათქმელია, ეს მალე მოხდება თუ ისევ ფერერი დაამთავრებს სეზონს.

თქმა არ უნდა, ჯერჯერობით ყველაზე უკეთესად მადრიდის „რეალი“ თამაშობს, თუმცა არცთუ უთავვადასავლოდ. XXI ტურში მან სწრაფად გახსნა ანგარიში (გუტი) „მალაგასთან“, მაგრამ სულ მალე უკვე სტუმრები დაწინაურდნენ. შემდეგ მშვენივრად ითამაშა რაულმა, ორი გოლი გაიტანა, მაგრამ „მალაგამ“ გაათანაბრა ანგარიში და ელგერამ მხოლოდ თამაშის დასასრულს მოუტანა ძნელი გამარჯვება ლიდერს — 4-3.

რამდენიმე სიტყვა 23 წლის რაულზე. ამ მატჩის შემდეგ მას ესპანეთის ჩემპიონატში უკვე 113 გოლი დაუგროვდა, ყველაზე მეტი ამჟამად ქვეყნის პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელთაგან. მან ერთი გოლით გაუსწრო „ოსასუნას“ 35 წლის თავდამსხმელ ხოსე სიგანდას და რაულს დიდხანს ვერ გაუწევს კონკურენციას. „ოქროს ბიჭად“ წოდებულმა რაულმა ამდენი ბურთი ექვსნახევარი სეზონის მანძილზე გაიტანა. თუ ასე გააგრძელა, შეიძლება ალფრედო დი სტეფანოს ესპანეთის ლიგის აბსოლუტური რეკორდიც კი მოხსნას — 218 გოლი.

ამ მატჩის შემდეგ „რეალის“ მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ჩემპიონთა ლიგაში რომის „ლაციოსთან“ შეხვედრის წინ დაასვენა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, სხვებიც, მაინცდამაინც დიდი მონდომებით არ თამაშობდნენ, რასაც ბილბაოს „ატლეტიკთან“ სტუმრად 0-1 დამარცხება მოჰყვა. XXIII ტურში მადრიდელებმა შინ კვლავ დაზოგეს ძალები, მაგრამ მაინც სძლიეს „რასინგს“. ახლა მათ მეტად მძაფრი შეხვედრები აქვთ ჩემპიონთა ლიგაში და დელ ბოსკე, რომლის ავტორიტეტი მეტად განმტკიცდა, პირველ რიგში, უნდა ეცადოს გუნდი არ გადაიღალოს. დღეისათვის თითქოს ყველაფერი წესრიგშია: ლუიშ ფიგუ უკვე შეეჩვია პარტნიორებს და სრული ძალით თამაშობს, დელ ბოსკესა და სტივ მაკმანამანს შორისაც მოგვარდა ურთიერთობა. დაცვას ზოგჯერ შეცდომები მოსდის, ზოგჯერ სცოდავს ახალგაზრდა მეკარე იკერ კასილიასიც, მაგრამ ეს ნაკლებად არსებითია, როცა თავდასხმა ესოდენ ძლიერად თამაშობს (52 გოლი გაიტანა).

მთელი ძალით თამაშობს „დეპორტივო“, ისე რომ, იგი სულაც არ აპირებს ჩემპიონობისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას. მიმომხილველთა აზრით, შარშანდელთან შედარებით რამდენადმე გაუფერულდა „ვალენსია“. ექტორ რაულ კუპერის მიმართაც უკვე გაისმა კრიტიკა.

„ვილიარეალი“, რომელიც წინა სეზონებში არაფრით გამოირჩეოდა, ახლა 38 ქულით მეხუთე ადგილზეა. ეს მოკრძალებული კლუბი ძალზე განამტკიცა გამოჩენილი არგენტინელი ფორვარდის, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ მარტინ პალერმოს შეძენამ. პალერმო მინდორზე პირველად XXI ტურში გამოჩნდა „ალავესის“ წინააღმდეგ. სწორედ მისი გადაცემის შემდეგ ვიქტორ ფერნანდესმა გახსნა ანგარიში, შემდეგ კი პალერმოს შემცვლელმა რუმინელმა გეორგე კრაიოვიანუმ ისახელა თავი — 2-0. მომდევნო მატჩში სტუმრად „ოვიედოსთან“ არგენტინელმა ორივე ტაიმი ითამაშა, გახსნა ანგარიში, შესანიშნავად გაუძლვა გუნდს და თუმცა „ვილიარეალი“ მეორე ტაიმში ათი მოთამაშით დარჩა, მაინც მოიგო შეხვედრა — 3-1. შემდეგ კი „ვალიადოლიდსაც“ სძლია — 2-1. „ვილიარეალს“ ადრე არასოდეს უთამაშია ევროტურნირებში, ახლა კი ამისათვის იბრძვის და შეიძლება მიზანსაც მიაღწიოს.



დელ ბოსკე

თუ პალერმოს ესპანეთის ჩემპიონატში ესოდენ ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა, ეს არ ითქმის ინგლისელ თავდამსხმელ სტენ კოლიმორზე, რომელიც „ოვიედოში“ ჩაირიცხა. მასზე ცნობილი იუგოსლავიელი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი იმედებს ამყარებს, კოლიმორი კი ჯერჯერობით ვერ ეხმარება გუნდს. კიდევ ერთი ახალწვეულია ბელორუსი მცველი სერგეი გურენკო, რომელიც „რომადან“ „სარაგოსაში“ გადავიდა.

ბოლო სამეულში არიან „ოსასუნა“ (17), „რასინგი“ (17) და „რეალ სოსიედადი“ (21), მათთან ძალიან ახლოს „ნუმანსია“ (23) და არც ისე შორს „ოვიედო“ (27). უნდა ითქვას, რომ თუ 19 ტურის შემდეგ სან-სებასტიანელები ბოლო, მეოცე ადგილზე იყვნენ, ცნობილ უელსელ მწვრთნელ ჯონ ტოშაკის დაბრუნებამ (იგი „რეალ-სოსიედადში“ ადრეც მუშაობდა) ნამდვილად გამოასწორა საქმე. აი, რას ამბობს რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი დმიტრი ხოხლოვი:

— სან-სებასტიანში ყველა იმედით ელოდა ტოშაკს და იგი ამართლებს კიდეც. ახლა ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიამოვნებით ვთამაშობთ. პირველი წრის შუაგულში ყველა მატჩზე უიმედოდ გამოვდიოდით, არც კი ვიცოდით, რა უნდა მოგვემოქმედა, როგორ გვეთამაშა. ახლა ვითარება მთლიანად შეიცვალა. ერთი სიტყვით, გადარჩენის პერსპექტივები გაგვიჩნდა.

XX ტურში „რეალ-სოსიედადმა“ სტუმრად მძიმე მარცხი აგემა „რასინგს“ — 4-1, შემდეგ შინ ფრედ — 2-2 ითამაშა ვიგოს „სელტასთან“, რომელსაც წელს ასევე არ ულხინს, XXII ტურში მართალია, წააგო 1-4 სტუმრად „დეპორტივოსთან“, მაგრამ XXIII ტურში კვლავ მოიგო — 2-1, ამჯერად, ბარსელონის „ესპანიოლთან“. ერთი სიტყვით, ბასკებს მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობები გაუჩნდათ, ამასთან, მალე გიორგი დემეტრაძეც დაიწყებს თამაშს.

მორიგი, XXIV ტური 25 თებერვალს გაიმართება. ყურადღების ცენტრშია მატჩი ლა კორუნიაში, სადაც „დეპორტივო“ მადრიდის „რეალს“ მიიღებს.



კლუივერტი



რაული

**ბივი ბამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ეფენბერგი „ბაიერნიდან" მიდის?

მიუნხენის „ბაიერნის" სახელგანთქმულმა ნახევარმცველმა შტეფან ეფენბერგმა განაცხადა, რომ გაისად ზაფხულში, მას შემდეგ, რაც კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურება, გუნდს გამოიცვლის. ფეხბურთელმა „ბაიერნში" 5 წელი გაატარა და მთავარი მწვრთნელის ოტმარ ჰიტცფელდის მთავარი დასაყრდენია გუნდში. ეფენბერგს „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზეს და სწორედ ამიტომ განიზრახა მან ახალ კლუბში გადასვლა. შტეფანის თქმით, მისი შეძენით დაინტერესებულნი არიან ინგლისური პრემიერლიგა და გერმანიის ბუნდესლიგის გუნდები.




შტეფან ეფენბერგი

## ვერ გავახალგაზრდავდები!

მიუნხენის „ბაიერნის" კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა უპასუხა კორესპონდენტის რამდენიმე შეკითხვაზე:

● ***კლუბთან კონტრაქტი 2002 წლამდე გაქვთ. რა მოხდება შემდეგ?***

— ვნახოთ. მინდოდა 2004 წლამდე მეთამაშა „ბაიერნში".

● ***ვის თვლით თქვენს შესაძლებელ მემკვიდრედ „ბაიერნში" ცენტრალური ნახევარმცველის პოსტზე?***

— ეტყობა, საზღვარგარეთელ მოთამაშეებს უნდა ადევნოთ თვალი, რახან გერმანიაში სათანადო კანდიდატურას ვერ ვპოულობ. თუმცა, ორი-სამი წლის შემდეგ ეს შეეძლო მიხაელ ბალაკს „ბაიერიდან". მას ახლავე მოვიწვევდი „ბაიერნში", შესანიშნავი მოთამაშეა. არა ვარ საქმის კურსში, რას აპირებს ჩვენი ხელმძღვანელობა. შესაძლოა, ბალაკი მართლაც გადმოვიდეს მიუნხენში.

● ***მართლაც არ იცით, რას აპირებს „ბაიერნის" ხელმძღვანელობა, თუმცა კაპიტანი ხართ?***

— არ შემიძლია ყველა საიდუმლოს გამჟღავნება.

● ***შეგიძლიათ დაასახელოთ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე, რომლებიც „ბაიერნს" გააძლიერებდნენ?***

— ჯერ არა. მაგრამ ზოგი, მაგალითად, კრისტიან ტიმი, კარგი შესაძლებლობისაა და კიდევაც უნდა გამოიყენოს.

● ***რას იტყვით კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზე?***

— იგი ისეთია, როგორი შესაძლებლობასაც ჩვენი ბიუჯეტი გვაძლევს. რა თქმა უნდა, მინდა დიდი ფეხბურთელების მხარდამხარ თამაში. უარს არ ვიტყოდი ისეთ პარტნიორებზე, როგორიცაა, ვთქვათ, პორტუგალიელი ფიგუ, ბრაზილიელი რივალდო. შესანიშნავი მოთამაშეა როი კინი „მანჩესტერ იუნაიტედიდან". ამასთან, კლუბში შექმნილი მდგომარეობაც ხომ რეალურად უნდა შევაფასოთ. ისე კი, ორი-სამი წლის შემდეგ რომელიმე ვარსკვლავი აუცილებლად ითამაშებს ჩვენთან მიუნხენში.

● ***„ბაიერნის" დაცვითი ხაზი კრიტიკას იმსახურებს. რომელი მცველების ხილვა გსურდათ თქვენი გუნდის რიგებში?***

— ესეც უტოპიის სფეროდანაა. რეალურად ჩვენს დაცვას მხოლოდ ჰოლანდიელი იაპ სტამი თუ გააძლიერებს. ისე, ევროპაში საუკეთესო მცველები გვყავს.

● ***კლუბის ხელმძღვანელი რომ ყოფილიყავით, 25 მილიონ მარკას გადაიხდიდი ჩეხ როსიცკიში?***

— სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში ახალგაზრდა, ბუნდესლიგაში თამაშისათვის არც ისე მომზადებულ ფეხბურთელებში უზარმაზარ თანხებს იხდიან. მომავალი გვიჩვენებს, სწორად მოიქცა თუ არა დორტმუნდის „ბორუსია", ჩეხში რომ ასეთი თანხა გადაიხადა.

● ***რას იტყვით დაბრუნებაზე გერმანიის ნაკრებში, რომელსაც რუდი ფიოლერი ხელმძღვანელობს?***

— არა, ეს შეუძლებელია. ხომ ვერ გავახალგაზრდავდები. (ეფენბერგი 32 წლისაა). დეე, გერმანული ფეხბურთის სახელის აღდგენაზე ახალმა თაობამ იზრუნოს.

## შმეიხელი: ნახვამდის, ნაკრებო!

ლისაბონის „სპორტინგის" მეკარემ პეტერ შმეიხელმა განაცხადა, რომ დანიის ნაკრებს გამოეთხოვა და ამიერიდან მხოლოდ კლუბში ითამაშებს. „14 ფანტასტიკური სეზონის შემდეგ სინანულით გაუწყებთ ამის შესახებ" — თქვა 37 წლის გოლკიპერმა. შმეიხელის კონტრაქტი „სპორტინგთან" 2002 წელს იწურება.

სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ სახელგანთქმულმა მეკარემ დანიის ნაკრებში 128 მატჩი ითამაშა.



პეტერ შმეიხელი

## „რომამ" ბალაკის შეძენა განიზრახა

იტალიის „რომას" მთავარი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს მოთხოვნით, კლუბის მეპატრონეებმა მოლაპარაკებები დაიწყეს გერმანიის ლევერკუზენის „ბაიერის" ნახევარმცველის მიხაელ ბალაკის შეძენის თაობაზე. იტყობინებიან, რომ სერია A-ს ლიდერმა გერმანელებს შესთავაზეს 7 მილიონი დოლარი. „რომას" გარდა ბალაკის გადაბირება სურთ ინგლისის „არსენალს" და იტალიის „იუვენტუსს".

რაკი „რომაზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც გაუწყებთ, რომ ამ კლუბმა 5 წლით გააგრძელა ხელშეკრულება გუნდის კაპიტან ფრანჩესკო ტოტისთან.

## შერინგემი „მანიუში" რჩება




არ გამართლდა ხმები იმის შესახებ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი დამრტყმელი ძალა ტედი შერინგემი გუნდიდან მიდის — კლუბის მეპატრონეებმა 34 წლის ფორვარდთან კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივეს ხელშეკრულება. სანამ ეს მოხდებოდა, ინგლისის პრემიერლიგის „მიდლსბრომ" და პირველი დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერის „ფულჰემის" მეპატრონეებმა სურვილი გამოთქვეს შეეძინათ ეს ფეხბურთელი.

## „მიდლსბრო" დანი გარსიაზე ნადირობს

ინგლისის „მიდლსბროსა" და ესპანეთის „ბარსელონას" კლუბები მოლაპარაკება აქვთ კატალონიური გუნდის ფორვარდ დანი გარსიას ტრანსფერზე იტყობინებიან, რომ „მიდლსბროს" გარდა გარსიას შეძენა ესპანეთის „ვალენსიას" სურს.

ბარსელონამ დანი 1999 წელს „მალიორკასგან" იყიდა. ბოლო დროს თავდამსხმელი ვერაა ფორმაში და იშვიათად ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ამიტომ, სავარაუდოა, რომ დანი ჩქარა დატოვებს კატალონიურ კლუბს.

## გიგზის ტრავმა უმნიშვნელოა, მაგრამ „არსენალთან" ვერ ითამაშებს

კვირას „მანჩესტერ იუნაიტედს" პრინციპული მატჩი აქვს ლონდონის „არსენალთან". ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებს „მანიუს" ნახევარმცველი რაიან გიგზი, რომელმაც, სამშაბათს „ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ტრავმის გამო უკვე მე-17 წუთზე დატოვა მინდორი. ექიმების ვარაუდით უელსელი ფეხბურთელი ორი კვირით გამოვიდა მწყობრიდან.

## ემანუელ პეტი: ვენგერი „ბარსას" გამოადგება

ვერა და ვერ გაიმართა წელში კატალონიური „ბარსელონა", დიდი ტრადიციების გუნდის თამაშს დღეს სტაბილურობა აკლია — შთამბეჭდავ გამარჯვებებს უსახური, მარცხიანი მატჩები მოსდევს. გასაკვირი არაა, რომ გულშემატკივართა წრეში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები მწვრთნელ ფერერას გადადგომის მოთხოვნით. ცხადია, შემცვლელზეც ფიქრობენ, ვის არ ასახელებენ „ბარსას" თავკაცის კანდიდატად, ყველაზე ხშირად იტალიელი ფაბიო კაპელო ფიგურირებდა. საბოლოოდ ეს ვარიანტიც ჩაიშალა — კაპელომ „რომასთან" კონტრაქტი გაიხანგრძლივა.

ამ დღეებში საყურადღებო სიტყვები წარმოთქვა ჟურნალისტებთან საუბარში ფრანგმა ნახევარმცველმა ემანუელ პეტიმ, რომელიც ბოლო ხანს იშვიათად ჩნდება კატალონიური გუნდის ძირითად შემადგენლობაში: „მოხარული ვიქნები თუ „ბარსას" ლონდონის „არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი გაუძღვება. იგი არა მარტო სანაქებო სპეციალისტია, არამედ დიდებული პიროვნება". ვითომ შემთხვევით განაცხადა ეს პეტიმ?

## გადავა კანუ „რეალში"?

ნიგერიის ეროვნული ნაკრების ფორვარდი ნვანკვო კანუმ, რომელიც ლონდონის „არსენალში" თამაშობს, კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა. ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში მან დაიჩივლა, რომ მეთოფეთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს იშვიათად ხვდება. თურმე, მას არც ლონდონის კლიმატი მოსწონს: „სიამოვნებით გავექცეოდი გაუთავებელ ნისლიან ამინდს და თბილ ესპანეთში გადავბარგდებოდი. ჩემი შესაფერისი გუნდი იქ ბევრია, ვთქვათ, სამეფო კლუბი — აი, სად გამოვავლენდი ჩემს მთელ პოტენციალს". კანუს კი სურს „რეალი", საკითხავია, თავად მადრიდელებს თუ აქვთ გეგმაში ნიგერიელის შეძენა.

William HILL

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| ბრედფორდი — ვესტ ჰემი | 24.02 | 19.00 | 3,00 | 3,20 | 2,10 |
| ქოვენთრი — ჩარლტონი | 24.02 | 19.00 | 2,25 | 3,20 | 3,75 |
| დერბი — ასტონ ვილა | 24,02 | 19.00 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| იფსვიჩი — ევერტონი | 24.02 | 19.00 | 1,83 | 3,20 | 3,75 |
| ლესტერი — სანდერლენდი | 24.02 | 19.00 | 1,83 | 3,20 | 3,75 |
| მიდლსბრო — საუთჰემპტონი | 24.02 | 19.00 | 1,90 | 3,10 | 3,60 |
| ნიუკასლი — მანჩ.სიტი | 24,02 | 19.00 | 1,57 | 3,50 | 5,00 |
| ტოტენჰემი — ლიდსი | 24.02 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| მანჩ. იუნ. — არსენალი | 25.02 | 17.00 | 1,80 | 3,10 | 4.00 |

### ინგლისი. I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი — ბლექბერნი | 23.02 | 23.45 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| ბარნსლი — ქრიუ | 24,02 | 19.00 | 1,90 | 3,40 | 3,25 |
| ბარნლი — ჰადფორდი | 24,02 | 19.00 | 1,72 | 3,40 | 4,00 |
| ჯილინგემი — ფულჰემი | 24.02 | 19.00 | 3,75 | 3,30 | 1,80 |
| ნორვიჩი — ვულვზი | 24.02 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| ნოტ.ფორესტი — გრიმსბი | 24.02 | 19.00 | 1,53 | 3,40 | 5,50 |
| პრესტონი — შეფ. უენსდეი | 24.02 | 19.00 | 1,57 | 3,50 | 5,00 |
| შეფ. იუნ. — კრ. პალასი | 24.02 | 19.00 | 1,72 | 3,40 | 4,00 |
| უოტფოროდი — სტოკპორტი | 24.02 | 19.00 | 1,61 | 3,25 | 5,00 |
| ვესტ. ბრ. — პორტსმუტი | 24.02 | 19.00 | 1,57 | 3,25 | 5,50 |
| უიმბლდონი — ქპრ | 24.02 | 19.00 | 1,66 | 3,40 | 4,33 |

### იტალია. სერია A

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ბრეშა | 24.02 | 18.00 | 1,50 | 3,40 | 6,00 |
| ატალანტა — ბარი | 24.02 | 23.30 | 1,44 | 3,50 | 7,00 |
| ბოლონია — ნაპოლი | 25.02 | 18.00 | 1,66 | 3,10 | 5,00 |
| ლაციო — ვერონა | 25.02 | 18.00 | 1,22 | 5,00 | 9,50 |
| ლეჩე — რეჯინა | 25.02 | 18.00 | 1,66 | 3,10 | 5,00 |
| იუვენტუსი — მილანი | 25.02 | 23.30 | 1,72 | 3,20 | 4,33 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანდი — რეინჯერსი | 24.02 | 16.55 | 5,50 | 3,60 | 1,50 |
| აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 24.02 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| ჰართსი — დანფერმლაინი | 24.02 | 19.00 | 1,80 | 3,40 | 3,60 |
| კილმარნოკი — დანდი იუნ. | 24.02 | 19.00 | 1,61 | 3,50 | 4,50 |
| სტ. მირენი — მოზერვილი | 24.02 | 19.00 | 2,80 | 3,40 | 2,10 |
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 25.02 | 22.05 | 1,36 | 4.00 | 7.00 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო — რეალი | 24.02 | 24.00 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ბილბაო — ნუმანსია | 25.02 | 20.00 | 1,53 | 3,40 | 5,50 |
| მალაგა — ლას პალმასი | 25.02 | 20.00 | 1,83 | 3,20 | 3,75 |
| ოვიედო — ოსასუნა | 25.02 | 20.00 | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| ვალენსია — ვილიარეალი | 25.02 | 20.00 | 1,61 | 3,50 | 4,50 |
| ვალიადოლიდი — სარაგოსა | 25.02 | 20.00 | 2,00 | 3,00 | 3,40 |
| სანტარდერი — მალიორკა | 25.02 | 20.00 | 2,50 | 3,10 | 2,50 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბაიერი — კოტბუსი | 23.02 | 23.15 | 1,25 | 4,50 | 0,00 |
| ბაიერნი— კიოლნი | 24.02 | 18.30 | 1,30 | 4,33 | 8,00 |
| ფრაიბურგი — მიუნხენი | 24.02 | 18.30 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| ჰამბურგი — ვოლფსბურგი | 24.02 | 18.30 | 1,90 | 3,25 | 3,40 |
| ჰერტა — უნტერჰახინგი | 24.02 | 18.30 | 1,40 | 3,60 | 7,50 |
| შალკე — დორტმუნდი | 24.02 | 18.30 | 2,10 | 3,20 | 3,00 |
| აინტრახტი — ვერდერი | 24.02 | 23.15 | 2,10 | 3,20 | 3,00 |
| ბოხუმი — შტუტგარტი | 25.02 | 20.30 | 2,10 | 3,20 | 3,00 |

### შვეიცარია. ნაციონალური ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი — სტ. გალენი | 23.02 | 23.15 | 1,90 | 3,20 | 3,35 |
| ლოზანა — ციურიხი | 24.02 | 20.30 | 1,70 | 3,30 | 4,00 |
| ლუგანო — სიონი | 25.02 | 17.30 | 1,55 | 3,50 | 4,80 |
| სერვეტი — ბაზელი | 25.02 | 19.15 | 1,90 | 3,20 | 3,30 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნეიმეგენი — სპარტა | 23.02 | 23.00 | 1,60 | 3,50 | 4,40 |
| ტილბურგი — ჰერენვეენი | 23.02 | 23.00 | 1,65 | 3,50 | 4,00 |
| ტვენტე — ვიტესი | 24.02 | 22.30 | 2.30 | 3,40 | 2,45 |
| ალკმაარი — როდა | 24.02 | 23.00 | 2.30 | 3,40 | 2,45 |
| ვალვაიკი — სიტარდი | 24.02 | 23.00 | 1,40 | 4.00 | 5,80 |
| აიაქსი — უტრეხტი | 25.02 | 17.30 | 1,40 | 4,00 | 5,80 |
| გრონინგენი — ბრედა | 25.02 | 17.30 | 1,90 | 3,40 | 3,15 |

### ბელგია. უმაღლესი დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გენტი — ბრიუგე | 24.02 | 18.00 | 2,70 | 3,30 | 2,20 |
| ვესტერლო — ანდერლეხტი | 24.02 | 23.00 | 3,50 | 3,40 | 1,80 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## სპორტის ზამთრის სახეობები

### თხილამურები

## ბენტე სკარიმ კვლავ მშრალზე დატოვა რუსი მოთხილამურეები



სურათი ისევ განმეორდა: ფინეთში მიმდინარე მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ნორვეგიელმა ქალმა ბენტე სკარიმ უკან ჩამოიტოვა რუსები და მეორე ოქროს მედალს დაეუფლა. ასპარეზობის პირველ დღეს მას ბადალი არ ჰყავდა კლასიკური სტილით 15-კილომეტრიან დისტანციაზე რბოლაში, ახლა კი ნორვეგიელმა ისევ დაჯაბნა რუსეთელები ოლგა დანილოვა და ლარისა ლაზუტინა. ამჯერად ეს 10-კილომეტრიან დისტანციაზე მოხდა. „ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამშობლოს მეორე ოქროს მედალი მოვუტანე, 10 კილომეტრი ხომ ჩემი საყვარელი დისციპლინაა" — თქვა რბოლის შემდეგ სკარიმ.

## ესტონელებმაც გაიხარეს



ორი წლის წინათ რამსაუში ჩატარებულ მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ესტონეთის სპორტულმა დელეგაციამ ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოითვალა. ამჯერად ბალტიისპირეთის ამ ქვეყანამ პირველ ოქროს მედალსაც გამოჰკრა ხელი — ფინეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე კლასიკური სტილით ვაჟთა 30-კილომეტრიან რბოლაში ანდრუს ვეერპალუმ პირველი შედეგი აჩვენა. მან სულ 0,2 წამით გაუსწრო ნორვეგიელ ფროდო ესტილას. ბრინჯაოს მედალს დაეუფლა რუსი მიხაილ ივანოვი.

ფინიშის შემდეგ ვეერპალუმ თქვა: „სტარტის წინ არ მინერვიულია, ვინაიდან ფავორიტად არ ვითვლებოდი, მხოლოდ გარბენის დასკვნით ნაწილში „გამეხსნა მადა", როცა მივხვდი, რომ მეტოქეებს არაფრით ჩამოვუვარდებოდი. ბოლო 10 წუთი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძნელი გამოდგა".

### ტრამპლინი

## შმიდტმა ჩემპიონობა შეინარჩუნა

მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედალს დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონი გერმანელი მარტინ შმიდტი, მეორე შედეგი აჩვენა პოლონელმა ადამ მალიჟმა, მესამე — ფინელმა იანი ახონენმა.

### სლალომი

## კოსტელიჩის ფენომენური მიღწევა

**გარმიშ-პარტენკირხენში სლალომისტთა მსოფლიო თასის ეტაპზე შეკრებილი მაყურებელი მხურვალე ოვაციით შეეგება ავსტრიელი ქალის იანიკა კოსტელიჩის მორიგ წარმატებას — მისთვის ეს მერვე გამარჯვებაა!**

**ყველაფერი მეორე ცდაზე გაირკვა, როდესაც კოსტელიჩმა 0,98 წამით გაუსწრო ხორვატ კრისტელ საიონის (მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში იგი მეორე ადგილზეა). ავსტრიელმა კარინ კოლერერმა მესამე შედეგი აჩვენა (მან 1,11 წამი დათმო ხორვატთან).**

**„მართალია მსოფლიო თასის 8 ეტაპი მოვიგე, მიღწეულზე შეჩერებას არ ვაპირებ" — განაცხადა შეჯიბრების შემდეგ კოსტელიჩმა.**

## ნბა

## „ნიუ-ჯერსიმ" და მარბერიმ სძლიეს „ტორონტოსა" და კარტერს



ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში გუშინ 8 მატჩი გაიმართა. „ტორონტომ", მიუხედავად იმისა, რომ ვინს კარტერმა 39 ქულა მოუტანა თავისიანებს, „ნიუ-ჯერსისთან" წააგო, რომლის რიგებში კვლავ გაიბრწყინა სტეფან მარბერიმ — მის ანგარიშზე 35 ქულაა.

ნიუ-ჯერსი — ტორონტო 113:111, ფილადელფია — ვანკუვერი 107:91, კლივლენდი — კლიპერსი 94:100, დეტროიტი — ნიუ-იორკი 90:85, მაიამი — ფინიქსი 85:100, მინესოტა — ჰიუსტონი 83:89, სან-ანტონიო — ლეიკერსი 99:101, სიეტლი — დენვერი 127:98.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 55 | 41 | 14 | 74,5 |
| ნიუ-იორკი | 53 | 31 | 22 | 58,5 |
| მაიამი | 55 | 32 | 23 | 58,2 |
| ორლანდო | 52 | 28 | 24 | 53,8 |
| ბოსტონი | 54 | 24 | 30 | 44,4 |
| ნიუ-ჯერსი | 56 | 19 | 37 | 33,9 |
| ვაშინგტონი | 54 | 13 | 41 | 24,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | | |
| მილუოკი | 52 | 32 | 20 | 61,5 |
| ტორონტო | 54 | 28 | 26 | 51,9 |
| შარლოტი | 54 | 28 | 26 | 51,9 |
| ინდიანა | 51 | 23 | 28 | 45,1 |
| კლივლენდი | 52 | 21 | 31 | 40,4 |
| დეტროიტი | 54 | 21 | 33 | 38,9 |
| ატლანტა | 54 | 18 | 36 | 33,3 |
| ჩიკაგო | 52 | 8 | 44 | 15,4 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | | |
| **შუადასავლეთის დივიზიონი** | | | | |
| იუტა | 51 | 35 | 16 | 68,6 |
| სან-ანტონიო | 53 | 35 | 18 | 66,0 |
| დალასი | 54 | 33 | 21 | 61,1 |
| მინესოტა | 55 | 32 | 23 | 58,2 |
| ჰიუსტონი | 55 | 29 | 26 | 52,7 |
| დენვერი | 56 | 28 | 28 | 50,0 |
| ვანკუვერი | 55 | 18 | 37 | 32,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | | |
| პორტლენდი | 54 | 38 | 16 | 70,4 |
| საკრამენტო | 51 | 34 | 17 | 66,7 |
| ლეიკერსი | 53 | 35 | 18 | 66,0 |
| ფინიქსი | 53 | 32 | 21 | 60,4 |
| სიეტლი | 55 | 29 | 26 | 52,7 |
| კლიპერსი | 56 | 18 | 38 | 32,1 |
| გოლდენ სტ. | 53 | 15 | 38 | 28,3 |

### მძლეოსნობა

## გერმანული თარჯმრბენი „დაწვეს"



გერმანელი თარჯმრბენის ფალკე ბალცერის ტესტ-დოპინგმა დადებითი შედეგი აჩვენა. ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა კლემენს პროკოპმა განაცხადა, რომ სასჯელის ზომას სპორტსმენს ამ დღეებში გამოუტანენ.

ბალცერი 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორია, იგი აგრეთვე 60 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდსმენია. მისი შანსები მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მარტში ლისაბონში გაიმართება, ძალიან მაღლა ფასდებოდა.

## „ფორმულა-1": ხერბერტმა კარიერა დაასრულა



„ფორმულა-1"-ის ცნობილმა პილოტმა ჯ. ხერბერტმა ჯერ კიდევ შარშან განიზრახა სპორტული კარიერის დასრულება, როდესაც „იაგუარის" გუნდში წარუმატებლად იასპარეზა. მაშინ მან განაცხადა, რომ ამერიკის სერია „კარტში" სურდა გადასვლა. მერე გარემოების გამო ჯონიმ იქაც დააგვიანა კონტრაქტის გაფორმება. ბოლოს ინგლისელი „ეროუზში" აღმოჩნდა ტესტ-პილოტის თანამდებობაზე.

## ერთი კვირაც და დაიწყება...

***4 მარტს სტარტს აიღებს „ფორმულა-1"-ის ახალი მსოფლიო ჩემპიონატი. პირველი „გრან-პრი" ავსტრალიაში გაიმართება. იტყობინებიან, რომ მწვანე კონტინენტზე უკვე ჩავიდა ორი პილოტი: კიმი რაიკონენი „ზაუბერიდან" და ლუჩანო ბურტი „იაგუარიდან".***

# თბილისელი მწვრთნელი — გერმანიაში

*(მეორე გვერდიდან)*

ნელის ფრიტც ზდენეკის ასისტენტის მოვალეობასასრულებდა.

პროფესიონალ მოკრივეთა მოსამზადებელ კლუბებსა და ცენტრებში მომუშავე მწვრთნელებს ინდივიდუალური, საშინაო „სამზარეულო" გააჩნიათ, ამიტომ, უცხო ქვეყნებიდან და სხვადასხვა კლუბიდან ჩამოსულ კოლეგებს ნაკლებად, ანდა, უხალისოდ ასწრებენ და აცნობენ წვრთნის პროცესს. სასიამოვნოა, რომ თბილისელი მწვრთნელი შინაურივით მიიღეს და რამდენიმე დღეში ტიტულოვანი მოკრივეების ინდივიდუალური წვრთნა მიანდეს.

მასპინძლებმა სწრაფად შეიყვარეს შრომისმოყვარე, განათლებული, საქმეში პატიოსნებით თავგამოჩენილი სტუმარი. ყველა მადლობას უხდიდა და ყურადღებას არ აკლებდა. ერთ ეპიზოდს მოვიტან.

— გიორგი, ცენტრიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა. ყოველ დილით, ხელფასის დაზოგვის მიზნით, იგი არ ჯდებოდა სამოქალაქო ტრანსპორტში და სირბილით მიდიოდა სამსახურში. მძიმე და დამღლელი სამუშაოს დამთავრების შემდეგ (მძიმე წონის, ხუთი მსოფლიო ჩემპიონის „თათებზე" დარტყმების შემდეგ, ძნელია არ დაიღალო) შინ ისევ სირბილით ბრუნდებოდა. ამის მხილველი კოლეგები და მოკრივეები გიორგის თავიანთ მანქანაში ჩაჯდომას და შინ მიყვანას სთავაზობდნენ, გიორგი კი დელიკატურად უარს ეუბნებოდა მათ და განაგრძობდა სირბილს. მასპინძლებს კი ერიდებოდათ მანქანით გადაესწროთ და ნელი სვლით სახლამდე უკან მიჰყვებოდნენ, შინ მისულს კი საყვირების გაბმული სირენით ემშვიდობებოდნენ. ასე მეორდებოდა მთელი სამი თვე.

„უნივერსუმში" გიორგი წვრთნიდა ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორებიც არიან: „ვეფხვად" მონათლული, WBO, IBF და ВБА ვერსიებით მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში დარიუშ მიხაჟევსკი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ხუან გომესი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი არტურ გრიგორიანი, მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში ვიტალი კლიჩკო და მისი უმცროსი ძმა ვლადიმერ კლიჩკო — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში.

გიორგი შახსუვარიანი, სიხარულით იგონებს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონების დარიუშ მიხაჟევსკისა და ხუან გომესის მონათხრობს ქ. თბილისზე. ამ ტიტულოვან მოკრივეებს საერთაშორისო ასპარეზზე პირველი ნაბიჯები გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" ტურნირზე გადაუდგამთ. ისინი დიდ კრივში ნათლობას და პირველ გამარჯვებებს ჩვენს დედაქალაქში ეზიარნენ. გულთბილად იხსენებენ თბილისს და ობიექტურ, კრივის კარგ მცოდნე ქართველ მაყურებელს.

ფუტკარივით შრომისმოყვარე, საქმისადმი პროფესიული მიდგომით კმაყოფილმა მასპინძლებმა, გიორგის, გერმანიაში ყოფნის სამთვიანი სტაჟირების ვადის დამთავრების შემდეგ, პროფესიონალ მოკრივეთა ცენტრის „უნივერსუმის" საქმიანი დირექტორის პ. ხანრატშის და ცენტრის მთავარი მწვრთნელის ფ. ზდენეკის ხელისმოწერით გადასცეს მადლობის ოფიციალური მოწმობა.

თბილისში დაბრუნებული გიორგი 2000 წლის ნოემბერში, წმინდა გიორგის ორდენის, ახლა უკვე ბელგიური, პროფესიონალი მოკრივეების „გოლდენ გლოვეს" კლუბის მიწვევით, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი „პრიორი", საეკლესიო მუსიკოსი (ტაძარში ორღანზე უკრავს), პროფესორი ბერტოლდ ფონ ბიშოპინგი, ადგილობრივ მწვრთნელებს პროფესიონალ მოკრივეთა დაოსტატებაში დაეხმარება, პარალელურად, მიმწვევთა რეკომენდაციით, ისწავლის ქ. გერდტის უნივერსიტეტში, სპორტული ფსიქოლოგიის კურსებზე.

**ჯემალ კვანტალიანი,**
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლინარესის სუპერტურნირი
# ექვსი „მატადორი“ იწყებს

23 თებერვალს ლინარესში (ესპანეთი) დაიწყება მიმდინარე საჭადრაკო სეზონის მეორე (ვეიკ-ან-ზეეს შემდეგ) სუპერტურნირი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი ორგანიზატორი ლუის რენტერო მონაწილეებთან მთელი წლით ადრე დებს კონტრაქტს და დიდოსტატებს უხვ გასამრჯელოსაც უხდის. ახლა კი მოხდა ისე, რომ ეს კონტრაქტი ორ შემთხვევაში დაირღვა. რატომ? საქმე ის არის, რომ შარშან ვლადიმირ კრამნიკი „მხოლოდ“ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად ითვლებოდა და მის ხელშეკრულებაში უფრო ნაკლები ჰონორარი იყო გათვალისწინებული, ვიდრე გარი კასპაროვის კონტრაქტში. ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონმა კრამნიკმა მოითხოვა მისთვის კასპაროვზე მეტი გადაეხადათ და... ცივი უარი მიიღო, ამიტომ ლინარესში თამაშზე უარი განაცხადა. თუმცა, არის სხვა აზრიც: ვეიკ-ან-ზეეში კასპაროვმა კრამნიკთან შედარებით გაცილებით უკეთესად ითამაშა. ახლა რომ იგივე ლინარესშიც განმეორებულიყო, ახალ მსოფლიო ჩემპიონს აშკარად სახელს გაუტეხდა. ამიტომ...

ლინარესში თამაშზე უარი განაცხადა მეორე მსოფლიო ჩემპიონმა ვიშვანათან ანანდმაც. მან თქვა, რომ გარკვეული ვალდებულებები აქვს ინდოელი გულშემატკივრების წინაშე, რომლებიც ასე მხურვალედ უქერდნენ მხარს ნიუ-დელიში მსოფლიო ჩემპიონატზე. ამიტომ იგი მოვალეა გარკვეული დრო ინდოეთში გაატაროს (ისე კი, მუდმივად, როგორც ცნობილია, მადრიდთან ახლოს ცხოვრობს), გამართოს ერთდროული თამაშის სეანსები, წაიკითხოს ლექციები და ა.შ. შესაძლოა, მიზეზი აქაც იგივეა: ანანდი ვეიკ-ან-ზეეში გაცილებით უარესად თამაშობდა, ვიდრე კასპაროვი და ამიტომ მასთან ახალ შეხვედრას თავს არიდებს.

ასეა თუ ისე, ლინარესის ახალი შეჯიბრება მეტად საინტერესოა. იგი ორ წრედ ჩატარდება 6 დიდოსტატის მონაწილეობით. ესენია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გარი კასპაროვი (დაიბ. 1963 წლის 13 აპრილს, რუსეთი. მოქმედი რეიტინგი 1849), ალექსეი შიროვი (დაიბ. 1972 წლის 4 ივლისს, ესპანეთი, 2718), პეტერ ლეკო (დაიბ. 1979 წ. 8 სექტემბერს, უნგრეთი 2745), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი (დაიბ. 1951 წ. 23 მაისს, რუსეთი, 2679), იუდით პოლგარი (დაიბ. 1976 წ. 23 ივლისს, უნგრეთი, 2676) და ალექსანდრ გრიშჩუკი (დაიბ. 1983 წ. 31 ოქტომბერს, რუსეთი, 2663).

რა თქმა უნდა, გარი კასპაროვი ტურნირის მთავარი ფავორიტია. მან გადაწყვიტა რაც შეიძლება მალე დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონის წოდება. თუ როგორ და რა გზით, ეს ჯერჯერობით ნათელი არ არის, რადგან ვლადიმირ კრამნიკმა გადაჭრით განაცხადა უარი მასთან მატჩ-რევანშზე. ისე კი, საჭადრაკო სამყარო კასპაროვს კვლავინდებურად თანამედროვეობის უძლიერეს დიდოსტატად თვლის. ეტყობა, მისი მთავარი მეტოქე პირველი ადგილისათვის ბრძოლაში, როგორც ბევრ სხვა ადრინდელ შეჯიბრებაში, ისევ შიროვი იქნება. გავიხსენოთ, ვეიკ-ან-ზეეს ამასწინანდელ ასპარეზობაში „რიგელმა ესპანელმა“ კინაღამ პირველი ადგილი დაიკავა. მისი წინსვლა იმ შეჯიბრებაში მანამდე გაგრძელდა, სანამ შიროვმა მორიგი პარტია არ წააგო კასპაროვთან. საინტერესოა, რომ შიროვი პირად შეხვედრებში, შეიძლება ითქვას, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს მსოფლიო ექს-ჩემპიონს. სხვა რაღა უნდა ვუწოდოთ იმას, რომ ამ შეხვედრებიდან კასპაროვმა მოიგო 10, შიროვმა — ვერც ერთი (!). ცხრა პარტია კი ყაიმით დასრულდა.

ერთი საინტერესო ამბავიც: კარპოვს სუპერტურნირებში, მისი რეიტინგის მკვეთრი გაუარესების გამო, კარგა ხანია არავინ იწვევდა. არა, შეჯიბრებებში მონაწილეობა მას არ შეუწყვეტია, შარშან ითამაშა ბალიში (ინდონეზია), ნაიდორფის მემორიალზე ბუენოს-აირესში. საინტერესოა, რომ ორივე ამ შეჯიბრებაში იუდით პოლგარმა გაიმარჯვა. ახლა კასპაროვი კვლავ აპირებს უძლიერესი შემადგენლობის შეჯიბრებებზე გამოსვლის უფლება მოიპოვოს. იგი უკვე რამდენიმე წელია აღარ შეხვედრია კასპაროვს, მაგრამ თუ ადრე ისინი თამაშობდნენ როგორც თანაბარი (ან თითქმის თანაბარი) მეტოქეები, ახლა სულ სხვაგვარი ვითარებაა.

პიტერ ლეკო მეტად თავისებური მოჭადრაკეა. იგი საკმაოდ იშვიათად იგებს, მაგრამ თითქმის არასოდეს აგებს. ერთი სიტყვით, პირველ პრიზზე არასოდეს აქვს პრეტენზია, მაგრამ მაღალ ადგილებს ყოველთვის იკავებს. იუდით პოლგარი, უმწვავესი სტილის მოჭადრაკე, დიდი წარმატებით თამაშობს ვაჟების ტურნირებში და ახლაც ოპტიმისტურადაა განწყობილი. შეიძლება ბევრი გააკვირვოს ლინარესში 17 წლის გრიშჩუკის მიწვევამ. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მოსკოველმა ბრწყინვალედ ითამაშა ჯერ სტამბოლის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონატზე ნიუ-დელიში, სადაც ნახევარფინალამდე მიაღწია (აქ კი მისი წინსვლა შიროვმა შეაჩერა). მაშ ასე, ექვსი „მატადორი“ ბრძოლას იწყებს...

**ბიჭი ბამრეკელი**

# „საკითხავი ბატი-ბუტი“

ჯუელ ქიაშვილისაგან

**ჰოლანდიის „აიაქსის“ ერთ-ერთმა თავგადამკვდარმა გულშემატკივარმა ამსტერდამის ახალაშენებულ სტადიონ „არენაზე“ მოიყვანა ორი თავისი... აბა, გამოიცანით, ვინ? თავს დავდებ, ვერ მიხვდებით! მოკლედ, ბევრი რომ არ გავწვალოთ, გეტყვით, რომ ეს გულშემატკივარი მატჩზე ორი ძროხით გამოცხადდა. როდესაც ცხოველების პატრონმა პოლიციაში ამოყო თავი, მან განაცხადა, რომ ეს საქციელი ჩაიდინა საფეხბურთო გაზონის ცუდი მდგომარეობის პროტესტის ნიშნად: „სანამ „არენაზე“ მინდორს არ მოაწესრიგებენ, „აიაქსის“ თამაშებზე ძროხებით ვივლი!“ ეს ამბავი საქართველო — უკრაინის ამასწინანდელ მატჩზე გამახსენდა — „არენასთან“ შედარებით ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის გაზონი ცა და დედამიწაა. მოვუწოდებ ქართველ გულშემატკივრებს, სანამ ჩვენთანაც საფეხბურთო მინდორს არ მოაწესრიგებენ, მატჩებზე ბალახის მძოველი შინაური ცხოველებით ვიაროთ.**



## ბორისის მესამე ქალი

სახელგანთქმული გერმანელი ჩოგნის ბორის ბეკერის პირადი ცხოვრება კვლავ საყოველთაო ინტერესს იწვევს. „ლელოს“ მკითხველმა იცის, რომ ქალთმიანი ბორისი მეუღლე ბარბარას გაეყარა. ეს თავისუფლება მას 14 მილიონი დოლარი დაუჯდა! გარდა ამისა, იმასაც ვიტყობინებოდით, რომ ბეკერს საკმაოდ „თანამედროვე კონტაქტები“ ჰქონდა რუს მოდელ ანჟელა ერმაკოვასთან, რომელმაც ბავშვიც კი გააჩინა მისგან. მართალია, „მეფე ბორისი“ ბავშვის მამობას უარყოფდა, მაგრამ ბოლოს სასამართლოს ძალით ქალმა თავისას მიაღწია და აწი ბეკერი იძულებულია ამ ბავშვის მომავალიც „დაასპონსოროს“.

და აი, გასულ კვირას სცენაზე გამოჩნდა ბორისის მესამე ქალიც. ამჯერად ეს არის გერმანიის პოპმუსიკის ვარსკვლავი, მომღერალი საბრინა სელტური. შეხედეთ ფოტოს და თავად დარწმუნდებით, რა ხილიცაა ინდოელი წარმოშობის ეს ქალი. იგი შარშან გერმანიის ყველაზე სექსუალურ დიაცად შერაცხეს. რეპორტიორები დიდი ხანია ეჭვობდნენ ბეკერისა და სელტუსის „კონტაქტებზე“, მაგრამ სანამ ცოლს გაეყრებოდა, იგი გადაჭრით უარყოფდა ამას, ახლა კი, რა გზაა, ჩვენება შეცვალა. კედელთან მიყენებულმა ბორისმა ჟურნალისტებს თავიდანვე უთხრა, რომ საბრინა ფეხმძიმედ არაა (როგორც ანჟელა) და მასზე დაქორწინებას (როგორც ბარბარაზე) არ აპირებს. აი, ასეთი ამბებია ბეკერის თავს და აწი ვინ იცის, კიდევ რამდენი ქალი გამოჩნდება მის ცხოვრებაში.

## რა დროს ნათურა იყო, ქალობერ!

**გასულ კვირას, ორ სახელგანთქმულ სპორტსმენს აბსურდული, უფრო სწორად, უაზრო, სპორტთან რომ კავშირი არა აქვს, ისეთი ამბავი მოუვიდა.**

**ჯერ ელექტროენერგიით დავიწყოთ. ცხადია, ყველასათვის ცნობილი მეცხრე და მეათე ბლოკები აქ არაფერ შუაშია. ევროპის შუაგულში, უფრო ზუსტად, შვეიცარიაში, ელექტროენერგიის პრობლემა არ არსებობს, იქაურებს, ალბათ, არც ახსოვთ, ბოლოს როდის გამოერთოთ შუქი. მით უარესი მათთვის! ერთადერთი საწუხარი ის აქვთ, ნათურა რომ გადაეწვებათ, ახალი დააყენონ. სწორედ ამ პროცედურის დროს, საკუთარ სახლში დამარცხდა ველორბოლის ასი — ლორან ჟალაბერი. არადა, რამდენჯერ გადმოვარდნილა ველოსიპედიდან და არაფერი მოსვლია, აი სკამიდან კი ისე დაენარცხა იატაკზე, მთელი სამი ნეკნი დაემტვრა. ახლა სპორტსმენი, რომელმაც აქამდე 152 რბოლა მოიგო, საავადმყოფოში მთელ თვეს გაატარებს. ეს კიდევ არაფერი, ტრავმა ისეთი სერიოზულია, ექიმები ეჭვობენ, გააგრძელებს თუ არა მომავალში ლორანი თავის სპორტულ კარიერას.**



**ახლა სხვა ამბავსაც გეტყვით. გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი მორიგი ვარჯიშის შემდეგ თაყვანისმცემელთა წრეში მოექცა და ავტოგრაფებს არიგებდა. ბოლოს, ეს პროცედურა ყელში რომ ამოუვიდა, სამშვიდობოს გაღწევა განიზრახა: ერთ-ერთი ფანატი ძირს დასცა და გადაბიჯება სცადა, მაგრამ ეს ისე უხეიროდ გააკეთა, მუხლი დაიზიანა. ტრავმა, მართალია, არასერიოზული გამოდგა, მაგრამ მან, უპირობო ფავორიტმა, წინა პარასკევს ტურნირი წააგო. არადა, ვუდსი საპრიზო ფონდის (200 ათასი დოლარი) სოლიდური ნაწილის მფლობელი უნდა გამხდარიყო.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 თებერვალი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. სუპერლიგა (11.40), მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (13.55, 15.55), კალათბურთი. ევროლიგა (17.45), ტაილანდური კრივი (20.45), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (22.30). ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (8.30, 13.30, 3.30). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (11.30, 16.00, 19.00). ფეხბურთი. უეფას თასი (14.00), კალათბურთი. ევროლიგა (22.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „პანათინაიკოსი“ – „შტურმი“ (14.20), „ანდერლეხტი“ – „ლიდსი“ (16.05), მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17.55, 19.50), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (21.30), გერმანიის ჩემპიონატი: „ბაიერი“ – „ენერგი“ (13.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.20).

**24 თებერვალი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (22.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (11.40, 23.45), ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (20.55), „დიდი რინგი“ (21.45). ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (8.30, 16.30), კალათბურთი. ნბა (11.30, 12.00), ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატის მატჩი, პირდაპირი რეპორტაჟი (19.00, 21.00), ცხენოსნობა (0.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (11.30, 12.00, 13.00, 14.00, 15.30, 21.00). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი: „ბაიერი“ – „ენერგი“ (13.15), ჩემპიონთა ლიგა „არსენალი“ – „ლიონი“ (15.00), ჰოლანდიის ჩემპიონატი (16.40, 20.35), იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატი (23.25, 1.35).

**25 თებერვალი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.35), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (2.05), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა (11.40), მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (15.55), ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირის მიმოხილვა (18.15), კიკბოქსინგი. საერთაშორისო მატჩი (1.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (10.00, 20.00 – „მანჩესტერი“ – „არსენალი“ 20.00). ჩემპიონთა ლიგა (19.00, 0.30, 4.30). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო პირველობა და თასი (11.00, 14.00, 15.30, 18.00, 21.00, 22.30, 23.00). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატი (13.15, 23.25), ჰოლანდიის ჩემპიონატი (15.55), მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17.55, 19.50), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (22.00), ესპანეთის ჩემპიონატი (1.35).

## კროსვორდი №15



**თარაზულად:** 5. პოპულარული ავტორბოლა, 6. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 8. კურორტი საქართველოში, სადაც გუნდები გადიოდნენ შეკრებებს, 10. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, მცველი, 11. ესპანური სპორტული გაზეთი, 14. სპორტული ნავის, გემის ნაწილი, 16. საჭადრაკო ფიგურა, 17. ოთხიანი ნარდში, 18. ცნობილი ფრანგი ავტომრბოლი, 19. ესპანელი ფეხბურთელი, მცველი, 22. სახელგანთქმული ბრაზილიელი ავტომრბოლი, 23. წარსულში გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 25. წარსულში ფიდეს პრეზიდენტი, 28. აფრიკელი პელეს სახელი, 29. „სკუადრა ...“, 30. წარსულში ცნობილი ბალტიისპირელი მოჭადრაკე ვაჟი, 32. ქართველი ძალოსანი, შარშანდელი წლის ქვეყნის რჩეული სპორტსმენი, 33. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 2. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 3. სპორტული კლუბების გაერთიანება, 4. ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება საქართველოში, 5. გერმანიის ობერლიგის საფეხბურთო კლუბი, ილბლის სინონიმი, 7. „ბაიერნის“ ფეხბურთელი, 9. ტერმინი ჩოგბურთში, 12. ბეკენბაუერის მეტსახელი, 13. წარსულში რუსი სიმაღლეზე მხტომელი ვაჟი, 15. არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი, 17. „სპარტაკის“ კამერუნელი ფეხბურთელი, 20. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 21. ახლო წარსულში თბილისის ს.კ. „არსენალის“ მეორე გუნდის სახელწოდება, 24. მიზანი სპორტულ თამაშებში, 26. ძიუდოისტთა სამოსელი, 27. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 30. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 31. ბავშვთა საფეხბურთო კლუბი თბილისში.

## №14 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. სალარაძე, 6. კარტოზია, 8. შტანგისტი, 11. ბადრო, 14. არენა, 15. ფალიანი, 16. „აცტეკა“, 17. ბალბოა, 21. აშვეთია, 22. „ზარია“, 23. „აზოტი“, 26. „ალბასეტე“, 27. შილაკაძე, 28. ფეხბურთი. **შვეულად:** 1. კაპრიატი, 2. ლახტი, 3. ბრიტო, 4. „პიაჩენცა“, 7. აგასი, 9. ფრეტცენი, 10. „კრემონეზე“, 12. ფარკაში, 13. ანტალია, 18. არახამია, 19. პეგასი, 20. კეტბურთი, 24. „ალგა“, 25. სერხი.

## საჭადრაკო ამოცანა

ი. ტყეშელაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

**1. ლa1! 1. ...კ:g2 2. ლh8X.**
**1. ...მფh2 2. მf3X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.